

საუბრები პრემიერის წინ A6



პრესომბუდსმენი A7



ნობელი ჰაროლდ პინტერს A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 17 ოქტომბერი, 2005 წელი. №229 (1089)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### მკვლელობაში ექვმიტანილების ვინაობა ცნობილია



ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წელს მარტო თბილისში სამოცამდე მკვლელობა და მკვლელობის მცდელობაა დაფიქსირებული. აქედან გახსნილია ორმოცდაათ დანაშაულზე მეტი და ათობით ადამიანი უკვე იხდის სასჯელს.

A3

## ეკონომიკა

### ხელისუფლების გამჭვირვალობის რეიტინგი

ჩვენმა ხელისუფლებამ ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე უკან არ დაიხია და სტიქიის აგრესიულობას არანაკლები შემართებით უპასუხა. წყალმა სახლებისა და საფლავების გარდა დასავლეთ საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტიც ჩარეცხა და კარგად გამოჩნდა სილატაკე და ის არაადამიანური პირობები, რომელშიც საქართველოს რეგიონები ცხოვრობენ.

A3

## ამბები

### ერაყი კონსტიტუციის მისაღებად, სავარაუდოდ, მზადაა

ერაყში რეფერენდუმი, ძირითადად, მშვიდობიან გარემოში გაიმართა. რეფერენდუმში მონაწილეობა ელექტორატის 61 პროცენტმა მიიღო.

A3


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B2


## ამინდი

| | 17/10 | 18 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 22 |
| ტყიბული | 18 | 21 |
| სოხუმი | 16 | 18 |
| დმანისი | 15 | 18 |
| გორი | 16 | 19 |
| ონი | 11 | 17 |
| ზუგდიდი | 18 | 22 |
| ახმეტა | 15 | 22 |
| გაგრა | 15 | 17 |
| სამტრედია | 19 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| პრესომბუდსმენი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# მეცნიერები გადასარჩენად იბრძვიან

გუშინ ფილარმონიაში შეკრებილი მეცნიერების აზრით, საქართველოში მეცნიერების ნგრევის რეალური საფრთხე არსებობს და ამ პროცესის აღსაკვეთად ისინი ერთიან მოძრაობად გაერთიანდნენ.

შეკრებას ფილარმონიაში არც პარლამენტის თავმჯდომარე, არც კომიტეტის თავმჯდომარე და არც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დასწრებიან, თუმცა მეცნიერების განცხადებით, ისინი შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ. ფილარმონიაში სიტყვით გამოვიდა მემარჯვენე ოპოზიციონერი დავით გამყრელიძე,

გაგრძელება A2 გვერდზე



მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები განათლების მინისტრის გადადგომას ითხოვენ.

# ბიბლიოფილები და ბიბლიოფობები

სოფიო თოდუა

*ასურბანიფალის თიხის ფირფიტებმა ქვეყნიერებას ლურსმნულით დაწერილი შედევრები შემოუნახა. ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკა თანამედროვე მსოფლიოს წიგნების ელექტრონულ ვერსიებს სთავაზობს. ასურეთიდან ამერიკამდე კაცობრიობამ გრძელი გზა განვლო. ამ გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე ჩვენც რომ ვდგავართ, ეს უდავოა. საკითხავია, რა უფრო ახლოა დღეს ჩვენგან - ასურეთი თუ ამერიკა?*

### ეროვნული და არა ნაციონალური

აქაურობას ოფიციალურად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ჰქვია, კანონის თანახმად იგი ქვეყნის მთავარი წიგნთსაცავია, ჩვენთვის კი უბრალოდ საჯარო ბიბლიოთეკა. სახელს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გაცილებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დამოკიდებულება ზოგადად ბიბლიოთეკების, კერძოდ კი საჯაროს მიმართ და ახალი გენერალური დირექტორის გეგმები. ზაზა აბაშიძე ამ თანამდებობაზე რამდენიმე თვის წინ დაინიშნა, მაგრამ დროის ეს მონაკვეთიც კმარა იმ პრობლემების გასაცნობად, რაც ბიბლიოთეკას ბოლო წლებში დაუგროვდა. სავსებით გასაგები მიზეზების მიუხედავად, ყურს მაინც ხვდება, როცა ზაზა აბაშიძეზე საუბარს სახელოვანი მამის ღვაწლით იწყებენ და მხოლოდ ამის შემდეგ ახსენდებათ, რომ იგი კარგი ისტორიკოსი და საინტერესო ტელეპროექტის ავტორიცაა. როგორც ჩანს, მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორობა მისთვისაც სერიოზული გამოცდა იქნება, თუ, რასაკვირველია, სხვებივით ისიც პოლიტიკოსობას არ მოინდომებს.



ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ზაზა აბაშიძე.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ინდრა-2005 და უშიშარი მინისტრები

### შედგება თუ არა სტრატეგიული "სამკუთხედი"

ნიკა თარაშვილი

*ორი კვირის მანძილზე რუსულმა საჯარისო ფორმირებებმა ერთობლივი წვრთნები გამართეს აზიის ორი უდიდესი ქვეყნის სამხედრო შენაერთებთან. ნიშნავს თუ არა ეს აზიური "სამკუთხედის" ფორმირების დასაწყისს?*

10 ოქტომბერს რუსეთ-ინდოეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები დაიწყო, რომლის დასკვნით ფაზას გუშინ ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებიც ესწრებოდნენ. ნიშანდობლივი იყო, რომ ეს წვრთნები ინდოეთ-პაკისტანის საზღვართან, უდაბნოში მიმდინარეობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე







რუსეთ-ინდოეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნებისას

# "ქათმის გრიპი" საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა

თამარ დვალი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი მოსახლეობას აფრთხილებს, ფრინველზე ნადირობისგან თავი შეიკავონ, განსაკუთრებით - ქვემო ქართლში, გურიის მხარესა და ფოთის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჭიპაშვილი მოსახლეობას მოუწოდებს, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ჩამოვარდნილ გადამფრენ ფრინველს შენიშნავს, არ მიეკაროს და დაუყოვნებლივ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს შეატყობინოს. თუკი მოსახლეობა ფრინველის ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ საგანგებო ზომებს არ მიიღებს, არსებობს რეალური საფრთხე, რომ დაავადებას ეპიდემიის ხასიათი მიეცეს.

**"ახლა ის პერიოდია, როდესაც საქართველოს თავზე გადამფრენი ფრინველები დაფრინავენ. აქედან გამომდინარე, ფრინველის ვირუსის გავრცელების რეალური საფრთხე არსებობს. "ქათმის გრიპის" პრევენციის მიზნით, საქართველოში აიკრძალა გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა. ამასთან, აიკრძალა ცოცხალი ქათმის და ფრინველის პროდუქტის რუსეთიდან, თურქეთიდან, რუმინეთიდან, ჩინეთიდან, ყაზახეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, კანადიდან, აშშ-ს ტეხასის შტატიდან და იაპონიიდან იმპორტი,"** - განაცხადა ჭიპაშვილმა.

"ქათმის გრიპი" პირველად 2003 წელს, აზიის ქვეყნებში გავრცელდა. დაფიქსირდა ადამიანთა დაავადების 120 შემთხვევა. "ფრინველის გრიპის" ვირუსის შტამი ადამიანისთვის სასიკვდილოდ საშიში ვირუსის H5N1-ის ანალოგიურია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში "ქათმის გრიპით" 66 ადამიანი დაიღუპა. ექსპერტები შიშობენ, რომ ეს ავადმყოფობა გადამფრენმა ფრინველებმა შეიძლება ევროპაში გადაიტანონ. ამჟამად ადამიანი მხოლოდ ცხოველებისგან შეიძლება დაავადდეს, მაგრამ არსებობს ვირუსის მუტაციის საშიშროება. თუ ინფექცია ადამიანიდან ადამიანზე გადავა, პანდემიამ შესაძლოა ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ამაგდარი პედაგოგები" დეპუტატის წინააღმდეგ

### ქუთაისელ პარლამენტარს დეპუტატობამდე ჩადენილი "გადაცდომები" გაუხსენეს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისელმა პარლამენტარმა და იმავდროულად "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქალაქო ორგანიზაციის ლიდერმა გოჩა თევდორაძემ მის წინააღმდეგ მიმართული ერთი ხმაურიანი აქცია წარმატებით მოიგერია: ბესიკ გულორდავა ქუთაისის მერობას მას შემდეგ გამოემშვიდობა, რაც გოჩა თევდორაძე ქურდებისა და მაფიოზების მფარველობაში დაადანაშაულა. მაშინვე გულორდავას მოადგილემ გოჩა ჩხეტიამ ღიად განაცხადა, რომ თევდორაძის კორუფციული საქმიანობის თაობაზე სერიოზულ მასალებს ფლობდა და პრესას ამ მასალების გაცნობას დაჰპირდა. როგორც ჩანს, ჩხეტიამ დანაპირები "საქართველოს ახალგაზრდა და ამაგდარ პედაგოგთა ასოციაციის" საშუალებით შეასრულა. ასოციაციის წარმომადგენლებმა გოჩა თევდორაძის მაკომპრომეტირებელი მასალების გამომზეურებას პრესკონფერენცია მიუძღვნეს. კომპრომატები თევდორაძის დეპუტატობამდე პერიოდს ეხება, როცა ის ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიას ხელმძღვანელობდა და ქუთაისის საკრებულოს მდივნის პოსტზე მოღვაწეობდა, "საქართველოს ახალგაზრდა და ამაგდარ პედაგოგთა ასოციაციის" ლიდერი მაია მურუსიძე კი მაშინ ამავე გიმნაზიის პედაგოგად მუშაობდა.

**"გოჩა თევდორაძემ გიმნაზიის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ექსპლუატაციაში გაუშვა გათბობის სისტემა. მაშინ ერთ-ერთი გაზეთის საშუალებით ის მადლობას უხდიდა თემურ შაშიაშვილს იმის გამო, რომ გიმნაზიაში გათბობის სისტემის ექსპლუატაციაში გასაშვებად, სპეციალური განკარგულებით, ბიუჯეტიდან გამოიყო საკმაოდ სოლიდური თანხა. ამის მიუხედავად, თევდორაძემ სკოლაში თითოეული მოსწავლისგან აკრიფა 20-20 ლარი, რამაც ჯამში შეადგინა 20 000 ლარი. მომდევნო წლებში გათბობის საწვავისთვის თითოეული მოსწავლიდან**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მკაცრი განაჩენი - ოთხი წლით პატიმრობა ერთი ბოთლი ლუდისთვის

*უახლოეს მომავალში სტრასბურგის ადამიანის უფლებების დამცველ უმაღლეს სასამართლოში საქართველოდან კიდევ ერთი საჩივარი შევა, რადგან რამდენიმე დღის წინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ გამოტანილ განაჩენს არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი არაკანონიერად მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ, ამჯერად უკვე მოსამართლის სტატუსით, ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე საკმაოდ მძიმე განაჩენი გამოიტანა. მან ნაწილობრივ დააკმაყოფილა ყოფილი კოლეგების მოთხოვნა და ერთი ბოთლი ლუდის მითვისებაში ბრალდებულ დავით ბერიკიშვილს პატიმრობა მიუსაჯა.*

მოსამართლე ნუგზარ გაბრიჩიძემ, მართალია, პროკურატურის მკაცრი მოთხოვნა ბერიკიშვილისთვის 11-წლიანი პატიმრობის მისჯის თაობაზე სრულად არ დააკმაყოფილა, მაგრამ, მის მიერ გამოტანილი განაჩენით, დავით ბერიკიშვილს 4 წლით პატიმრობა მაინც მოუწევს.

საქმე, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ნუგზარ გაბრიჩიძემ განიხილა, საკმაოდ გახმაურებული გახლავთ. საუბარია, 2004 წლის აგვისტოში თიანეთში მომხდარ შემთხვევაზე - დავით ბერიკიშვილის მიერ ერთი ბოთლი ლუდის "ნისიად" აღების მცდელობაზე. ბერიკიშვილმა გამყიდველს სთხოვა, მისთვის ვალად მიეცა ერთი ბოთლი ლუდი, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან თავად გამოაღო მაცივარი და ლუდი თვითნებურად აიღო. მისი ქმედება სამართალდამცველებმა შეაფასეს, როგორც მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაული და დავით ბერიკიშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ძარცვაში დასდეს ბრალი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრემიერ-მინისტრის ვიზიტი აშშ-სა და ევროპაში

*ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ექვსდღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ეს მისი პირველი ვიზიტია შტატებში.*

პრემიერ-მინისტრი, ამსტერდამის გავლით, ჩაფრინდება ჩიკაგოში, სადაც დაგეგმილია შეხვედრები ამერიკის მეორე ფინანსური ცენტრის ბიზნეს-წრეებისა და გავლენიანი კომპანიების წარმომადგენლებთან. ვიზიტის მესამე დღეს ანუ 21 ოქტომბერს, პრემიერი ნოღაიდელი ვაშინგტონში ჩავა, სადაც დაგეგმილია შეხვედრები და მოლაპარაკება ამერიკის ენერგეტიკის მინისტრ სემუელ ბოდმანთან, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ პოლ ვულფოვიცთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ტაკატოში კატოსთან.

როგორც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში განმარტავენ, ვაშინგტონში შეხვედრების ძირითადი თემა იქნება საქართველოში მიმდინარე რეფორმები და საერთაშორისო საფინანსო ცენტრების შემდგომი მხარდაჭერა, განსაკუთრებით - ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ზურაბ ნოღაიდელი მიწვეულია "ათასწლეულის გამოწვევის" კორპორაციაში, რომელმაც, შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს მხარდასაჭერად 300 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

გაიმართება მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან, რომელმაც, სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის სურვილი თავად გამოთქვა.

გარდა ამისა, ნოღაიდელთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს სენატორებმა ჯონ მაკკეინმა, რიჩარდ ლუგარმა, რობერტ ბენეტმა, ჰარი რეიდმა, ჩაკ ჰეიგელმა და მრავალმა კონგრესმენმა.

ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია ზურაბ ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა "მეტროპოლიტან ქლაბში", "ბრუკინგის ინსტიტუტსა" და საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტში (ზბიგნევ ბჟეზინსკის ცენტრში).

26 ოქტომბერს, შეერთებული შტატებიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპაში გაემგზავრება.

27 ოქტომბერს, ვენაში დაგეგმილია ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა ეუთოს საბჭოს სხდომაზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისაუბრებს საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებზე აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების გადასაჭრელად, აგრეთვე, რუსეთის პოლიტიკაზე ამ რეგიონებში. ზურაბ ნოღაიდელი ეუთოს გენერალურ მდივანს შეხვდება.

28 ოქტომბერს დაიწყება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ავსტრიაში. გათვალისწინებულია ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრები ავსტრიის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელებთან. პრემიერი სამშობლოში 29 ოქტომბერს დაბრუნდება.

**24 საათი**

# პრეზიდენტმა საავტომობილო გზების დეპარტამენტს მუშაობა დაუფასა

*შაბათს, საქართველოს გზების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს რომან დალაქიშვილს ღირსების ორდენი გადასცა. მაინც რას გულისხმობს გზების განვითარებაში შეტანილი წვლილი? საქართველოს გზებზე განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ "24 საათს" თავად დეპარტამენტის თავმჯდომარე ესაუბრა.*

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გზების მშენებლობის, რეაბილიტაციის, პერიოდული და მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვისათვის, აგრეთვე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 120 მილიონი ლარი გამოიყო. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი აცხადებს, ამ თანხით 180 კმ-ზე მეტი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პერიოდული შეკეთება და, ასევე, ხიდების აღდგენაა დაგეგმილი შემდეგ მონაკვეთებზე: თბილისი-სენაკი-ლესელიძე; სენაკი-ფოთი-სარფი; ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ; თბილისი-წითელი ხიდი; თბილისი-მარნეული; მცხეთა-ყაზბეგი-ლარსი; ქუთაისი-ხონი-მარტვილი; ვარციხე-როხი; ქუთაისი-ალპანა-მამისონი და მცხეთა-კავთისხევი-გორი.

**"მიმდინარე წელს შესრულებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეგრელოს რეგიონში ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 90 კმ. გზის და ორი ხიდის (მდ. ცივზე და მდ. ჩხოუშიაზე) რეაბილიტაცია,"** - აღნიშნავს დალაქიშვილი. მისივე თქმით, ეტაპობრივად მოხდება კულტურის ძეგლებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება. კერძოდ, რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა გელათის მონასტერთან და უფლისციხესთან მისასვლელ გზას. ბოდბეში წმ. ნინოს მონასტერთან მისასვლელ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

**"ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე გვირაბის მშენებლობისათვის 14,5 მლნ ლარი გამოიყო. აშენდა ერთი გვირაბი, გვირაბთან მისასვლელი ორზოლიანი, 4 კმ-იანი მონაკვეთი და გზაგამტარი. ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის საბოლოო სახით დასრულებისათვის მეორე ეტაპის სამუშაოები გრძელდება. საბოლოოდ, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთი იქნება ოთხზოლიანი ავტომაგისტრალი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობის პირობებშიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის მაღალი სიჩქარით გადაადგილებას,"** - აცხადებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, მიმდინარე წელს დასრულდა 2001 წელს დაწყებული, მსოფლიო ბანკის პროექტი. 2005-2008 წლებში კი, საქართველოს საავტომობილო გზების განვითარების მიზნით, მსოფლიო ბანკის ახალი "ადგილობრივი, რესპუბლიკური და სასოფლო მნიშვნელობის გზების პროექტი" განხორციელდება. ამ პროექტის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკი 20 მილიონ დოლარს გამოყოფს, 8,8 მილიონ დოლარს კი, თანადაფინანსების პრინციპით, საქართველოს მთავრობა გაიღებს.

კერძოდ, 2005 წელს ახალი კრედიტის ფარგლებში მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგ საავტომობილო გზებზე დაიწყო: თბილისი-თიანეთი - 20 კმ. ხევსურეთის სოფელი სიონი - 17 კმ. საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი - 18 კმ. და ოზურგეთი-ნატანები - 22 კმ.

**"2005 წელს, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე, საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე რეაბილიტაცია და პერიოდული შეკეთების სამუშაოები დაახლოებით 200 კმ სიგრძის გზას ჩაუტარდება. ასევე, შეკეთდება 50-მდე ხიდი, შესრულდება ნაპირსამაგრი სამუშაოები და აღდგება ხელოვნური ნაგებობები. ეს ბოლო ათეული წლის მანძილზე საქართველოში გზების რეაბილიტაციისა და შეკეთების საქმეში რეკორდული მაჩვენებელია,"** - აცხადებს რომან დალაქიშვილი "24 საათთან" საუბარში. **24 საათი**

# თბილისის აეროპორტში გეოლოგიური სამუშაოები სრულდება

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, რომელსაც ქართველი და თურქი გეოლოგები ერთობლივად აწარმოებენ, დასასრულს უახლოვდება. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა, ნიკოლოზ მანჯგალაძემ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, ნიადაგის კვლევის სამუშაოები თითქმის დასრულებულია. მისივე თქმით, თურქული მხარე აცხადებს, რომ აეროპორტის მშენებლობა ნოემბრის შუა რიცხვებში დაიწყება. მომავალი კვირის დასაწყისში კი მხარეებს შორის გაფორმდება პროტოკოლი, რომლის თანახმადაც, აეროპორტის ტერმინალი მართვაში თურქებს გადაეცემათ. შეგახსენებთ, რომ თბილისის ახალ აეროპორტს თურქული კომპანიების "ტავისა" და "ურბანის" გაერთიანება ააშენებს, რომელშიც ის 62 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს. სანაცვლოდ, აეროპორტი თურქულ მხარეს 15,5-წლიანი მართვის უფლებით გადაეცემა. შესაბამის ხელშეკრულებას ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მიმდინარე წლის 6 სექტემბერს მოეწერა ხელი. თბილისის ახალი აეროპორტი ექსპლუატაციაში მომავალი წლის ნოემბერში უნდა შევიდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მეცნიერები გადასარჩენად იბრძვიან

პირველი გვერდიდან

რომელმაც არა მარტო განათლების და მეცნიერების მესვეურები, პარლამენტარებიც ქვეყნის მავნებლებად მონათლა და დამსწრე საზოგადოებას მათ წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდა. ოპოზიციონერებიდან ყოფილი პარლამენტარებიც იყვნენ, ნესტან კირთაძე და ადა მარშანია. ამ უკანასკნელმა, ფილარმონიის კიბეებზე რომ ჩადიოდა, შეშფოთებულ და აღშფოთებულ მეცნიერებს "შეშინებული მეცნიერება" უწოდა. ადა მარშანია შეკრების მსვლელობისას "ხელს იწევდა", მაგრამ არ გამოიძახეს. თქვენსავით რამდენს უნდა გამოსვლაო, - საჯაროდ მისცა შენიშვნა თავმჯდომარემ. საზოგადოებასთან საუბრის საშუალება არც გურამ შარაძეს მისცეს, მაგრამ შეკრების ბოლოს მან მაინც გაარღვია წინააღმდეგობა და ტრიბუნიდან დარბაზს, ცრუ მეცნიერებო და ცრუ პატრიოტებოო, მიმართა. რის პასუხადაც პრეზიდიუმის თავმჯდომარის შენიშვნა მიიღო, აქ მხოლოდ თანამოაზრეები შევიკრიბეთ და თქვენი შეფასება საჭირო არ არისო.

როგორც ფილარმონიაში გამოსულმა მეცნიერებმა აღნიშნეს, ისინი ყველაზე უკეთ ხვდებიან, რომ მეცნიერებისა და განათლების სისტემა რადიკალურ რეფორმებს საჭიროებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - იმ მეთოდებით, როგორითაც ხელისუფლება გეგმავს, რადგან ახალი სისტემა, რომელსაც მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სთავაზობს, წარუმატებელი იქნება და მეცნიერებას სრულ კრახამდე მიიყვანს.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა ოთარ ნათიშვილმა მეცნიერებს გააცნო აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის პოზიცია და აღნიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემია მხარს უჭერს იმ დეკლარაციას, რომელიც მომზადდა საინიციატივო ჯგუფის მიერ და დღეს იქნება მიღებული. მისი თქმით, მეცნიერებათა აკადემიის ყველა ინსტიტუტი მეცნიერების მხარეზეა. **"ქვეყნის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ნამდვილი ომი გამოუცხადა ფუნდამენტური მეცნიერების და განათლების არსებობას საქართველოში,"** - ამ შინაარსის განცხადება გავრცელდა შეხვედრაზე. ამ საშიშროებამ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მუშაკები აიძულა, გაერთიანებულიყვნენ საზოგადოებრივ მოძრაობაში - "საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის."



*მეცნიერები ფილარმონიაში.*

მოძრაობა პრეზიდენტს იმედით მიმართავს, რადგან "მეცნიერებისა და აკადემიის რეფორმირებას თქვენ სახელმწიფო მნიშვნელობა მიანიჭეთო", და მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გადააყენოს თანამდებობიდან განათლების და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია. ამის შემდეგ, მოძრაობის თხოვნით, პრეზიდენტმა განათლების შესახებ მოქმედი კანონები ძირეულად უნდა შეცვალოს, ამოქმედდეს საქართველოს მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონი, რეალობად იქცეს უნივერსიტეტის ავტონომია და პრეზიდენტთან შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მეცნიერებით დაკომპლექტდება და მას განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა დაევალება.

შეკრებაზე გამომსვლელები სხვადასხვა არგუმენტებით ერთსა და იმავეს ამტკიცებდნენ: ინგრევა მეცნიერება, ინგრევა ქართული სახელმწიფო. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის განცხადებით, ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ბიბლიის სვანურად და მეგრულად გამოცემას გეგმავს, რაც "შეცვლის თვითშეგნებას და საქართველოს დაშლას შეუწყობს ხელს". მისივე თქმით, პრეზიდენტმა და სრულიად საქართველოს კათალიკოსმა უნდა შეაჩერონ ეს პროცესი.

ზოგიერთ გამომსვლელს აუცილებელი ნგრევის მიმანიშნებლად სხვა მაგალითებიც მოჰყავდა: როგორ დაჰპირდა მინისტრი, საქართველოს ისტორია 2005 წელს საგამოცდო საგანი იქნებაო და როგორ არ შეასრულა დაპირება; რომ არ შეიძლება, მინისტრს გარს ეხვიოს კოსმოპოლიტური მენტალიტეტის ანტიეროვნულ ფარისეველთა ჯგუფი, რომლებიც სკოლებში რელიგიის კუთხეს პიონერულ კუთხეს უწოდებენ, ხოლო სახელმწიფო ენად ინგლისურს ირჩევენ; "ეს მიდგომა და მათი მმართველობა გამოიწვევს იმას, რომ საქართველოს უეროვნებო მომავალი გაეზრდება."

მეცნიერები ამბობენ, რომ მათთან დიალოგი არ მიმდინარეობს, ხელისუფლება მათ ყურს არ უგდებს.

...მეცნიერთა შეკრება დასრულდა. ფილარმონიის დარბაზი "იუმორინასთვის" ემზადებოდა.

P.S. რაც შეეხება ასაკობრივ ცენზს, გერმანიაშიც ასეთი კანონია - 65 წელი. ჰაინც ფენრიხი იენის უნივერსიტეტში მსოფლიოში ერთადერთი ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელია. ის 65 წლის გახდა და მიდის - წესია. ბატონი ჰაინცი "დარბის" და ზრუნავს იმისთვის, რომ სახელმწიფოს დაფინანსება მიიღოს, რომ ცენტრი არ დაიხუროს, ხოლო ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციას პერუელ ქართველოლოგს უწევს. თუ ვინმეს სჭირდება ამ ცენტრის არსებობა - საქართველოს და ქართველოლოგიას. "აი, ამისთვის ღირს მეცნიერთა შეკრება. ხოლო, რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ამას მაინც ხელისუფლებასთან ათგზის საუბარი სჯობს და აუცილებლად - მათი მოსმენაც. ხომ ნახეთ, რამდენი მსურველი გამოჩნდა, რომ პრობლემა ქუჩაში აქციებად გაიტანოს. მეცნიერება და განათლება კი ქუჩის საქმე არ არის," - თქვა რიგითმა მეცნიერმა, გერმანისტმა.

# "ქათმის გრიპი" საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა

პირველი გვერდიდან

როგორც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, საქართველოში "ფრინველის გრიპის" შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა.

**"ფრინველის გრიპი", ძირითადად, გარეულ იხვებსა და ბატებშია გავრცელებული. ვირუსის გადადება ხდება ასევე ქათმის ხორცით და კვერცხით. თუმცა, ამის საშიშროება საქართველოში არ არსებობს. შექმნილია ევრო-კომისია, რომელსაც დევიდ ნაბრო ხელმძღვანელობს. იმ ქვეყნებში, სადაც ეს ვირუსი დაფიქსირდება, აღნიშნული კომისია პროდუქტის იმპორტს კრძალავს. ევროკავშირმა თურქეთიდან და რუმინეთიდან ქათმის ხორცის და ცოცხალი ფრინველის იმპორტი უკვე აკრძალა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოში შემოსული ხორცი მოწმდება და ის საშიში არ არის,"** - აღნიშნა მესხიშვილმა. მისივე თქმით, ფერმერები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ფრინველებთან, აღჭურვილი უნდა იყვნენ სპეციალური ტანსაცმლით. მათ ამ წესების დაცვა სხვა დროსაც მოეთხოვებათ, თუმცა ამჟამად კონტროლი საგრძნობლადაა გამკაცრებული.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა "ფრინველის გრიპის" ვირუსის საწინააღმდეგო ახალი, უფრო ეფექტური ვაქცინა შეიმუშავა. ამის შესახებ ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან.

მათი ინფორმაციით, ეს ვაქცინა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს, წარმატებით ებრძოლონ არა მარტო "ფრინველის გრიპის" ვირუსს H5N1-ს, არამედ სხვა სენსაც - ე.წ. ნიუკასლის დაავადებას (ანუ ფრინველთა ატიპიურ ჭირს).

გარდა ამისა, ახალი ვაქცინა უფრო უსაფრთხოა, უფრო მოსახერხებელია და ახალგამოჩეკილ წიწილებს არ კლავს.

რუმინეთში აღმოჩენილი "ფრინველის გრიპის" ვირუსის ტიპი დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ლაბორატორიაში ჩატარებული ტესტირების შედეგად განისაზღვრა.

რუმინეთის ხელისუფლების განცხადებით, ქვეყანაში "ფრინველის გრიპის" მეორე კერაა აღმოჩენილი, რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ერთ-ერთ სოფელში ვირუსი გედს და შინაურ ფრინველს გამოუვლინდა. სოფელი 60 კილომეტრითაა დაშორებული იმ ადგილს, სადაც გასულ კვირაში ამ დაავადების პირველი შემთხვევები დაფიქსირდა.

"ფრინველის გრიპის" ვირუსი თურქეთის მეფრინველეობის ფერმებშიცაა აღმოჩენილი, ქვეყანაში დაახლოებით 10 ათასი შინაური ფრინველია განადგურებული.

# "ამაგდარი პედაგოგები" დეპუტატის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

**5-5 ლარი იკრიბებოდა, ანუ ჯამში ყოველწლიურად 5000 ლარი გროვდებოდა. პარალელურად, გიმნაზიას ამისთვის თანხა ბიუჯეტიდანაც ერიცხებოდა. ამას გარდა, გიმნაზიაში არსებობდა ფასიანი მომსახურება უფროსკლასელთათვის, თითოეულზე თვეში 3-3 ლარის ღირებულებით, რაც წელიწადში 8100 ლარს შეადგენდა. თევდორაძემ გიმნაზიის დირექტორად 7 წელი იმუშავა. ამ ხნის მანძილზე ამ თანხების ჯამი 111700 ლარს შეადგენს და ამ ფულის ასავალ-დასავალი არავინ იცის",** - აცხადებს მაია მურუსიძე.

ბრალდების საპასუხოდ დეპუტატი თევდორაძე იხსენებს, რომ მადლობა გაზეთის საშუალებით მართლა გადაუხადა მაშინდელ ქალაქის მერს თემურ შაშიაშვილს, გიმნაზიაში გათბობის სისტემის მოსაწესრიგებლად გაწეული დახმარებისთვის. ეს იყო დაახლოებით 10000 ლარამდე, რაც მაშინ გამნაზიამ ბიუჯეტიდან მიიღო.

**"გათბობის ექსპლუატაციაში გასაშვებად სკოლაში არავითარი თანხა არ შეკრებილა. ცხადია, გიმნაზიაში არსებობდა მზრუნველთა საბჭო, რომელიც თავის წილ შემწეობას იღებდა, მაგრამ ის, რომ ვინმეს სკოლაში 20-20 ლარი აეკრიბა, აბსურდია. შემდეგშიც, არავითარი 5-5 ლარი არ იკრიბებოდა დირექციის მითითებით, რადგან გათბობის საწვავისთვის სკოლა, ძირითადად, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. შეიძლება მშობელთა კომიტეტს თავისი ინიციატივით ცალკეულ კლასში რაიმე შეეკეთებინა და ამისთვის ფულიც აეკრიბა, მაგრამ ეს არ მოხდებოდა დირექციის დავალებით. 3-3 ლარი უფროსკლასელთათვის მართლაც დავაწესეთ სტანდარტს ზემოთ მომსახურებისთვის, მაგრამ ეს პირველივე თვეში შევწყვიტეთ, რადგან ყველა მოსწავლემ ვერც ამ თანხის გადახდა შეძლო,"** - განმარტავს გოჩა თევდორაძე.

"ამაგდარი პედაგოგები" კომპრომატებს შორის ასახელებენ იმ ფაქტსაც, რომ მან გიმნაზიის კოლექტივი საკუთარი ახლობლებით, მეგობრებით, ნათესავებითა და პროტეჟეებით დააკომპლექტა. მათ შორისაა გოჩა თევდორაძის და ნატო თევდორაძე, რომელიც გიმნაზიაში ძმამ დაასაქმა. მურუსიძის თქმით, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის ხელფასს ნატო თევდორაძე უკანონოდ იღებდა. "საქართველოს ახალგაზრდა და ამაგდარ პედაგოგთა ასოციაციის" წარმომადგენლები თევდორაძის კომპრომატად მიიჩნევენ სატარიფიკაციო ფურცლებსაც, რომლებიც მისი დირექტორობის დროსაა შევსებული და საფინანსო სამსახურის მიერ დამტკიცებული. ამ სამსახურს კი იმ დროს თევდორაძის მეგობარი კახა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა.

**"მე შევისწავლე 1996-2003 წლების სატარიფიკაციო ფურცლები, რომლებითაც ამ პერიოდში, "ვაკანტური ფაკულტატურის" მუხლით, ბიუჯეტიდან მოთხოვნილია 155230 ლარი. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ვაკანტური ფაკულტატურის გვერდით არ არის მითითებული არავითარი სახელი და გვარი, თუ ვის გამოეწერებოდა ეს თანხა,"** - აცხადებს მაია მურუსიძე.

მურუსიძის ბრალდებების კონტრარგუმენტად გოჩა თევდორაძე აცხადებს, რომ მისი ყოფილი თანამშრომლის საჩივრების საფუძველზე ყველა დასახელებული ფაქტის თაობაზე შესაბამისი მოკვლევა ჩატარებული აქვს კონტროლის პალატას, პროკურატურასა და, უფრო მეტიც, არსებობს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებიც.

**"ყველა დასკვნაში ნათქვამია, არ დაკმაყოფილდეს მურუსიძის მოთხოვნა და უარი ეთქვას თევდორაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, ვინაიდან არ ჩამიდენია ეს საოცრებები, ხალხო,"** - აცხადებს გოჩა თევდორაძე.

საგამოძიებო და სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობის თევდორაძისეულ მეთოდებს კარგად აჩვენებს 7 წლის წინ სკოლაში მომხდარი ძარცვის ფაქტი, რომელსაც მურუსიძე ასე იხსენებს: **"გიმნაზიის დირექტორის კაბინეტის გაძარცვის შედეგად გაქრა კომპიუტერი, სხვა ტექნიკა და სეიფიდან 13000 ლარი. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რამდენჯერმე მოვიდა პროკურატურის წარმომადგენელი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეისწრო დირექტორი სკოლაში. შემდეგ დაემთხვა, რომ თევდორაძე ავად გახდა და მხოლოდ მას შემდეგ გამოჯანმრთელდა, რაც ეს საქმე მიჩუმდა. მალე თევდორაძემ ქალაქის ცენტრში, სხირტლაძის ქუჩაზე სახლი იყიდა".**

**"კაბინეტი მართლა გაიძარცვა, კომპიუტერი და ქსეროქსი წაიღეს, მაგრამ არანაირი 13000 ლარი იქ არ ყოფილა. იმ სეიფში ჭკუათმყოფელი ადამიანი ფულს არ შეინახავდა, რადგან კარი არ იკეტებოდა. რაც შეეხება სახლს, ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ამიტომ მქონდა ჩემი ბინა ავტოქარხნის ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით 8 წლის წინ გავცვალე სხირტლაძეზე, თან სადღაც 1500 დოლარიც დავამატე,"** - აცხადებს გოჩა თევდორაძე "24 საათთან" საუბარში.

გიმნაზიის დირექტორობის პერიოდში თევდორაძე თვეში 450 ლარს გამოიმუშავებდა და ამ თანხით მან ქუთაისში საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა, რასაც მმართველი პარტიის ადგილობრივი ლიდერი შემდეგნაირად ხსნის: **"ხელფასს გარდა შემოსავალი იქიდანაც მქონდა, რომ მოსწავლეებს ვამზადებდი წლების მანძილზე და იყო დრო, 3-4 სკოლაში ვმუშაობდი ერთდროულად. 1991 წლიდან კი მეგობართან ერთად მაქვს საფუტკრე მეურნეობა სოფელ კვახჭირში, სადაც ჩემს წილად 2,5 ტონა თაფლიც კი მომიწევია. ამ წუთშიც მაქვს სახლში 400-500 კილოგრამი თაფლი".**

დეპუტატის 2200-ლარიანი ხელფასი კი დღეს თევდორაძეს არა მარტო იმის საშუალებას აძლევს, რომ 30000 დოლარად სახლი იყიდოს თბილისის ცენტრში (თევდორაძე ამბობს, რომ ეს საბანკო კრედიტის საშუალებით მოახერხა), არამედ იმისთვისაც ჰყოფნის, რომ ტოტალიზატორში 50-50 ლარიანი ფსონები დადოს. რამდენიმე ხნის წინ გოჩა თევდორაძემ სკოლის დირექტორობისა და საკრებულოს მდივნობისდროინდელი "მერსედესიც" გაყიდა. როგორც თვითონ ამბობს, ზედ სადღაც 1200 დოლარი წაუმატა და ახალი "ოპელი" შეიძინა.

## კოტე გაბაშვილი: "...თებერვლამდე არც ერთი რუსი მშვიდობისმყოფელი არ დარჩება საქართველოში"

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების შემოღება არარეალურია. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა რუს სამშვიდობოებს კატეგორიულად მოსთხოვა სამშვიდობო მისიის რეალურად შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ კონფლიქტის ზონების დატოვებით დაემუქრა, რუსეთის დუმის ზოგიერთმა დეპუტატმა საქართველოს წინააღმდეგ სანქციების ამოქმედება მოითხოვა. როგორც გაბაშვილმა განაცხადა, რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, უბრალოდ, ბაქიბუქობს, რადგან თუ ის საქართველოს წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს, რუსეთი ცივილიზებული ქვეყნის სტატუსს დაკარგავს.

"რუსები იმუქრებიან, რომ იქ მცხოვრებ ქართველებს გამოაძევებენ. თუ რუსები ასე მოიქცნენ, ეს იქნება ეთნოწმენდა და ეს ქვეყანა მსოფლიოს თვალში ცივილიზებული სახელმწიფოს სტატუსს დაკარგავს. რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, რუსეთმა გაზი ისედაც გაგვიძვირა. ასევე, თუ ჩვენი პროდუქციის ამ ქვეყანაში გატანას შეზღუდავენ, არც ეს არის პრობლემა, რადგან გასაღების სხვა ბაზარს ვიპოვით," - ამბობს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. გაბაშვილის თქმით, მიუხედავად რუსეთის მუქარისა, საქართველოს ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს. "პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, რუს სამშვიდობოებს ვადა თებერვლამდე მიეცა. თუ რუსეთი მუქარებს გააგრძელებს და ჯიუტად უარს იტყვის სამშვიდობო მისიის შესრულებაზე, თებერვლამდე არც ერთი რუსი ე.წ. მშვიდობისმყოფელი არ დარჩება საქართველოს ტერიტორიაზე," - აცხადებს კოტე გაბაშვილი. **მედიანიუსი**

## პრეზიდენტმა რეზერვისტები დააჯილდოვა

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გურიაში, რაჭასა და ლენტეხში სტიქიური შემოტევებისას მიმდინარე სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე რეზერვისტები საქართველოს პრეზიდენტმა ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში მიიღო და რვა მათგანს საქართველოს მედლები და ღირსების ორდენები გადასცა. საქართველოს ღირსების ორდენით გვარდიის მე-12 სარეზერვო ბატალიონის შტაბის უფროსი ვლადიმერ სურგულაძე, ამავე ბატალიონის მეთაური ზვიად უნგიაძე და პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში ირაკლი გორგაძე დაჯილდოვდნენ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რეზერვისტებს, რომლებმაც სტიქიური უბედურების დროს მოსახლეობის დახმარებისას თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს, ფულადი პრემიები და პრეზიდენტის პირადი მადლობის წერილები გადაეცემათ.

მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ იგი საქართველოს საზოგადოების საუკეთესო ნაწილად სწორედ რეზერვისტებს მიიჩნევს. მისივე განცხადებით, ლენტეხში უკვე აღდგენილია ყველა ძირითადი გზა და ხიდი და ასევე მოხდება ოზურგეთშიც. დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციების გაცემაც მალე დასრულდება და არც ერთი ოჯახი ღია ცის ქვეშ არ დარჩება. დაჯილდოების ცერემონიის დასრულების შემდეგ პრეზიდენტმა რეზერვისტები და გურიაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში სადილზე მიიპატიჟა. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უახლოეს მომავალში პარლამენტმა უნდა აირჩიოს ვიცე-სპიკერი, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკანონმდებლო ორგანოში კვოტით ეკუთვნის. ეს თანამდებობა შესაძლოა დაიკავოს ყველა იმ დეპუტატმა, რომელთაც ბათუმის, ქობულეთის და შუახევის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვეს. თუმცა, ვიცე-სპიკერის პოსტზე საპარლამენტო უმრავლესობაში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის ჯემალ ინაიშვილის კანდიდატურა განიხილება. თავად ინაიშვილი, ჯერჯერობით, ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებს. "ოფიციალური შემოთავაზება ჯერჯერობით არ მიმიღია," - განცხადა მან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზაზა გოროზიამ მდინარე ენგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გახსნილი საგუშაგოები მოინახულა. გუბერნატორი სწრაფი რეაგირების ბატალიონსაც ესტუმრა. გოროზიას განცხადებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამატებით რამდენიმე საგუშაგო გაიხსნა. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ნოემბრის შუა რიცხვებიდან ალმაათაში რეგულარული რეისების შესრულებას გეგმავს. როგორც ავიაკომპანიის პრეზიდენტმა გიორგი კოდუამ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ყაზახეთის ავიაკომპანია "ასტანასთან", რომელიც ორ ავიაკომპანიას შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს. მისივე თქმით, "ნაციონალური ავიახაზების" კუთვნილი თვითმფრინავი ალმაათაში კვირაში ორჯერ იფრენს. მგზავრობის ღირებულება ერთი მიმართულებით 250 დოლარამდე, ხოლო ორივე მიმართულებით 500 დოლარამდე იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ერაყი კონსტიტუციის მისაღებად, სავარაუდოდ, მზადაა

## მოიტანს თუ არა ნანატრ მშვიდობას რეფერენდუმი

*ერაყში რეფერენდუმი, ძირითადად, მშვიდობიან გარემოში გაიმართა. საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, რეფერენდუმში მონაწილეობა ელექტორატის 61 პროცენტმა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ზომები, მეამბოხეებმა ბაღდადში რამდენიმე უბანზე მაინც მიიტანეს იერიში; დაიღვარა სისხლიც, თუმცა ამან რეფერენდუმის ვერ ჩაშალა. პირველი ოფიციალური შედეგები, სავარაუდოდ, დღეს გამოქვეყნდება. ერაყის რეფერენდუმს დადებითად გამოეხმაურა შეერთებული შტატები და ევროპის კომისია. მათ რეფერენდუმს ქვეყნის დემოკრატიისა და სტაბილურობისკენ მავალ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპი უწოდეს.*

**"ჩვენი ინფორმაციით, ყველგან - იმ რეგიონებშიც კი, სადაც იანვრის არჩევნების ბოიკოტირება მოხდა, რეფერენდუმზე ბევრი ხალხი მივიდა, და აქტივობა მაღალი იყო. ეს კი, ღვთის ნებით, უკეთესი მომავლის იმედს იძლევა",** - უთხრა "რადიო თავისუფლებას" საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ეზალდინ მუჰამადიმ.

კონსტიტუციის რატიფიცირება მაშინ მოხდება, თუ მას ამომრჩევლების 50 პროცენტი თანხმობას განუცხადებს და, ამავდროულად, 18 პროვინციიდან სამში ელექტორატის ორ მესამედზე მეტი უარს არ ეტყვის.

გუშინ და გუშინწინ ხმის დათვლა გრძელდებოდა. პირველი ოფიციალური შედეგები, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი. თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, მართალია, ჯერ კიდევ ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოთქვამს რწმენას, რომ კონსტიტუციის პროექტი არ ჩავარდება. **"სავარაუდოდ, დოკუმენტი გავა",** - განუცხადა ჟურნალისტებს ლონდონში მყოფმა კონდოლიზა რაისმა. თუმცა, იმავდროულად, სახელმწიფო მდივნის პრესმდივანმა დააკონკრეტა, რომ ქალბატონი რაისი მხოლოდ წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებდა განცხადებას.

როგორც მოსალოდნელია ქურთებისა და შიიტების უმრავლესობა კონსტიტუციას მხარს უჭერს. ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება სუნიტების პოზიციაზე.

თუმცა, თავად ფაქტი, რომ სუნიტებმა უკანასკნელ მომენტში თანხმობა განაცხადეს რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებაზე კონსტიტუციის მომხრეებს იმედის საფუძველს აძლევს. შეგახსენებთ, ერაყის სუნიტური მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გასულ საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში დღეს, ძირითადად, შიიტები და ქურთები არიან წარმოდგენილნი.

ერაყელი სუნიტები, რომლებიც, მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა (ისინი ქვეყნის მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ), ათწლეულების მანძილზე ერაყის პოლიტიკის წარმმართველი ძალა იყვნენ, დღეს შიშობენ, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება ქურთებისა და შიიტების "მინი-სახელმწიფოების" წარმოქმნას შეუწყობს ხელს. რაც საბოლოოდ დაანგრევს ერაყის ერთიან სახელმწიფოს.

მართალია, პირველი ოფიციალური შედეგები დღეს გახდება ცნობილი, მაგრამ საბოლოო მონაცემების გამოქვეყნება 24 ოქტომბერს არის მოსალოდნელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, უკვე დეკემბერში შესაძლებელი გახდება საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რის შედეგადაც ქვეყნის დღევანდელ დროებით ხელისუფლებას ახალი, ლეგიტიმური ორგანოები ჩაანაცვლებენ.

# ინდრა-2005 და უშიშარი მინისტრები

პირველი გვერდიდან

ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო წვრთნების მთავარი მიზანი - ტერორისტთა მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, ორი ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფების ერთობლივი ქმედებებისთვის მომზადება იყო. წარმოსახვით მოწინააღმდეგესთან "ბრძოლაში" მონაწილეობდნენ რუსული საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი და ინდოეთის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი. ამას გარდა, წვრთნებში ჩართულები იყვნენ სამხედრო ავიაციის თვითმფრინავები და შვეულმფრენები.

გუშინდელ დღეს რეჯისტანის შტატში განლაგებულ პოლიგონზე ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. ერთმა შემთხვევამ კი, ლამის, ორივე მინისტრის სიცოცხლე შეიწირა. სააგენტო "რია-ნოვოსტი" იტყობინება, რომ ინდოეთის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავებიდან (სხვათა შორის, რუსული წარმოების ა -32) სამხედრო ტექნიკის დესანტირებისას ერთი პლატფორმა, რომელზეც 120-მილიმეტრიანი ნაღმტყორცნი იყო მოთავსებული, კინაღამ მინისტრებს დაეცათ. საკმაოდ მძიმე ტვირთი ორიოდე მეტრში დავარდა სათავალთვალო მოედნიდან, საიდანაც რუსეთისა და ინდოეთის თავდაცვის მინისტრები ადევნებდნენ მანევრებს თვალს. ინციდენტისას არავინ დაშავებულა. თვითმხილველთა თქმით, არც სერგეი ივანოვი და არც პრანაბ მუკერჯი არ შეშინებულან - ისინი არც წამომდგარან სავარძლებიდან.

ბუნებრივია, რუსულ-ინდური წვრთნების დწყება, პრაქტიკულად, რუსულ-ჩინური წვრთნების დასრულებისთანავე მეტია, ვიდრე უბრალო შემთხვევითობა. სხვათა შორის, ივანოვმა არც სამმხრივი (რუსულ-ინდურ-ჩინური) ერთობლივი წვრთნების ჩატარების შესაძლებლობა გამორიცხა. **"პრინციპში, ეს შესაძლებელია. თუმცა, მაშინ ჩვენ "შანხაის თანამშორმლობის ორგანიზაციის" თემატიკაზე უნდა გადავიდეთ",** - აღნიშნა რუსმა მინისტრმა.

რუსი მინისტრის თქმით, "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია" თავის დროზე სწორედ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისთვის იქმნებოდა. შეგახსენებთ, ინდოეთი ახლახან შეუერთდა ამ ორგანიზაციას და რუსეთ-ჩინეთის ერთობლივ სამხედრო წვრთნებში დამკვირვებლის სტატუსით იყო მიწვეული.

რუსი მინისტრის მხრიდან "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" ხსენება ნამდვილად არ უნდა იყოს გასაკვირი. ეს ერთგვარი მინიშნებაა ერთობლივი წვრთნების პოლიტიკურ დატვირთვაზე. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ დასრულებული რუსულ-ჩინური ერთობლივი წვრთნები "სამშვიდობო მისია-2005", ამჟამინდელი "ინდრა-2005"-ის სცენარიც აზიაში მდებარე "მესამე ქვეყანაში სამშვიდობო ოპერაციის" ჩატარებას ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ "შანხაის კლუბი" აზიაში სამშვიდობო ოპერაციების წარმოებაზე პრეროგატივას "ეპოტინება". სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ასტანაში გამართულ სამიტზე რეგიონის ქვეყნებმა (ძირითადად, რუსეთისა და ჩიენთის კარნახით) ღიად მიანიშნეს აშშ-ს, რომ იგი რეგიონში მხოლოდ სტუმარია - აზიის ბედი კი თავად აზიელებმა უნდა გადაწყვიტონ.

საერთოდ, კრემლის მიერ აზიური პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევას თავისი ლოგიკური მიზეზები აქვს. მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა რუსული პოლიტიკის მარცხი ევროპაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს მოსკოვმა გავლენის აღმოსავლეთით გაფართოებაზე აიღო კურსი და, ამ მიზნით, სტრატეგიულ მოკავშირეებად აზიის შედარებით ძლიერი ქვეყნები აირჩია - ჩინეთი, ინდოეთი და ირანი. ამჟამინდელი ერთობლივი წვრთნები სწორედ ამ პოლიტიკური კურსის გაგრძელებაა. მოსკოვი ლამობს, აჩვენოს ინდოეთს, რომ მასთან პარტნიორობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს და ამასთანავე ცდილობს, დაარწმუნოს დელი, რომ რუსეთ-ჩინეთის მზარდი თანამშრომლობა სამხედრო სფეროში არანაირად არ ეწინააღმდეგება ინდოეთის ინტერესებს.

სრულიად პრაგამატული მოსაზრებები ამოძრავებს ინდოეთსაც. რუსეთთან ერთობლივი სამხედრო წვრთნები საშუალებას აძლევს ინდოეთს, კიდევ ერთხელ შეახსენოს თავი მსოფლიოს - მათ შორის, უშუალო მეზობელ და ისტორიულ კონკურენტ პაკისტანს. (სამხედრო მანევრების პაკისტანის საზღვრის სიახლოვეს გამართვა, ალბათ, ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაც არის.)

მაგრამ, მიუხედავად თანამშრომლობის მზარდი მასშტაბებისა, ექსპერტთა აზრით, ჯერჯერობით სრულიად უადგილო იქნებოდა აშშ-ს საწინააღმდეგოდ მიმართული სამხედრო ბლოკის შექმნის პერსპექტივებზე საუბარი.

რასაკვირველია, სამ სახელმწიფოს ძალიან ბევრი საერთო ინტერესი აქვს - დელი, მოსკოვი და პეკინი მრავალპოლუსიანი მსოფლიო მოწყობის მომხრეები არიან. თითოეული მათგანი უფრთხის რეგიონში აშშ-ს გავლენის ზრდას და მზადაა, ყველაფერი გაიღოს ამერიკელთა ამ "მზაკვრული" გეგმის ჩასაშლელად.

თუმცა, ეს მიზნები ჯერჯერობით მხოლოდ სურვილის დონეზე რჩება და არ გულისმოხბს, რომ სამთაგან რომელიმე აშშ-სთან რეალურ კონფრონტაციაზე წასვლას აპირებს; პირიქით, ერთმანეთთან თანაშრომლობის საპირისპიროდ, თითოეული მათგანი (განსაკუთრებით, ჩინეთი და ინდოეთი) ცდილობს, კიდევ უფრო გაზარდოს ეკონომიკური კავშირები აშშ-სთან.

ასე რომ, "სტრატეგიული სამკუთხედი" - მოსკოვი-პეკინი-დელი, შესაძლოა, არასოდეს იქცეს რეალობად. სხვათა შორის, ამისთვის ქვეყნებს შორის ძალიან დიდი განსხვავებები არსებობს; მაგალითად, ჩინეთს საკმაოდ ხელსაყრელი თანამშრომლობა აქვს პაკისტანთან და, საეჭვოა, ინდოეთის გულის მოსაგებად ამ თანამშრომლობაზე უარი თქვას; ასევე, რუსეთი არ შეწყვეტს სამხედრო ტექნიკის მიწოდებას ჩინეთისთვის, მიუხედავად იმისა, რომ, დელის აზრით, ასეთი ქმედება რეგიონში სტრატეგიულ ძალთა ბალნასს უქმნის საფრთხეს.

მაია ჭალაგანიძის სვეტი

# ხელისუფლების გამჭვირვალობის რეიტინგი

ჩვენმა ხელისუფლებამ ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე უკან არ დაიხია და სტიქიის აგრესიულობას არანაკლები შემართებით უპასუხა. წყალმა სახლებისა და საფლავების გარდა დასავლეთ საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტიც ჩარეცხა და კარგად გამოჩნდა სიღატაკე და ის არაადამიანური პირობები, რომელშიც საქართველოს რეგიონები ცხოვრობენ. სტიქიის შედეგებთან საბრძოლველად აგრესიული პოლიტიკა გამართლებულია, მაგრამ ამ აგრესიას დედაქალაქის მცხოვრებნი სრულიად მშვიდობიანი საკითხების გადაწყვეტისასაც აწყდებიან. აქ არ იგულისხმება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები, რომელიც შეიძლება არ გახდეს ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. ეს ეხება სრულიად უწყინარ და დემოკრატიულ მოთხოვნას - ხელისუფლების გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას, რომელიც სულ უფრო და უფრო დაბურული და შორეული ხდება.

იმისთვის, რომ ქვეყანა თურქმენეთივით ან ჩრდილოეთ კორეასავით მართო, ჯერ საქართველო უნდა აქციო ამ ქვეყნებად. ხელისუფლებას ესმის, რომ ეს არასდროს მოხდება, მაგრამ პარალელურად ისიც ესმის, რომ ახლა მისი დროა და სანამ რევოლუციური რეიტინგი ჯერ კიდევ მაღლა ტივტივებს, არავინ დაუკარგავს დაგებულ გზებს, თუნდაც ის უხარისხო იყოს, არც შადრევნებს, თუნდაც, ახლომდებარე უბნებს სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდებოდეს, არც სათამაშო მოედნებს და არც იმ ძალისხმევას, რომელიც სტიქიასთან ბრძოლაში გამოიჩინა.

მაგრამ, ეს ყველაფერი არავის და მით უფრო საზოგადოების მომსახურე ნაწილის მიერ დაქირავებულ ჩინოვნიკებს არ აძლევს უფლებას, იგნორირება გაუკეთოს ამავე საზოგადოების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია უმრავლესობის ძალაუფლებაა, დემოკრატია აგრეთვე გულისხმობს მოსახლეობის იმ ნაწილის აზრის გათვალისწინებასაც, რომელიც მაღალ გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება. სანამ ხელისუფლებაზე ქვემოდან, ხალხისგან წამოსული ზეწოლა (თუ ქვეწოლა) ძალიან სუსტია, ყოველთვის იქნება ზემდგომების ძალაუფლებით გატაცების საშიშროება.

გასულ გაზაფხულს "რესპუბლიკელმა" დავით უსუფაშვილმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, "დღეს ხელისუფლებაზე უარესი ოპოზიციააო". შეიცვალა თუ არა აზრი ბატონმა დავითმა, ამას კიდევ ვკითხავთ, მაგრამ როგორც ჩანს, ოპოზიციასაც მოსაძებნი აქვს მასების გულებთან მიმავალი სწორი გზაც და ამ ხელისუფლებასთან ოპონირების ახალი ინსტრუმენტებიც. დღევანდელ, ისევე როგორც ყველა დროის ოპოზიციას მიაჩნია, რომ მათი ბედი დამოკიდებულია არა ხალხზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ითვლის ცესკო არჩევნების შედეგებს. ცესკო კი, ცხადია, ისე დაითვლის, როგორც ამას უმრავლესობის ძალაუფლება, ანუ "დემოკრატია" მოითხოვს და ეს უფრო შესუსტებული საზოგადოების ბრალია და არა ძლიერი ბიუროკრატიის.

თუ რევოლუციამდე ჩვენს ქვყანაში პოლიტიკის, მთავრობის სტაგნაცია იყო, დღეს აშკარაა ავტორიტეტული პოლიტოლოგების, ექსპერტების, ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე. ვიღაც ახალი უნდა გამოჩნდეს, მაგრამ საიდან? ამ სიცარიელის ამოვსება დღეს ისევ ქვემოდან, ხალხიდან უნდა მოხდეს, რეალურად კი ეს ძალა დღეს სუსტია და უახლოეს მომავალში მის გაძლიერებას არ უნდა ველოდოთ. ამას აქვს ობიექტური (პოლიტიკური და სოციალური გადაღლა, სათანადო ცოდნის არქონა) და სუბიექტური (ახალი ხელისუფლების ჯერ კიდევ არსებული იმედი) მიზეზები. სწორედ ამ სისუსტეების გამო იმის დიდი ალბათობაა, რომ ხალხი ვერ შეძლებს ვერც იპოდრომის გადარჩენას, ვერც დედაქალაქის რეკონსტრუქციის რომელიმე გასაიდუმლოებულ პროექტს გაეცნობა, ვერც სამარშრუტო ტაქსებს შეაჩერებს დანგრევის პირას მისული უბნების გადაკეტვით, არც დახურული რუსთაველი გაიხსნება, ვერც იმას გავიგებთ ოდესმე, რა მოხდა აეროპორტის ტენდერისას, ვინ აგებს ორორჯერ გზის საფარს ვაჟა-ფშაველას გამზირზე და სხვ. და სხვ. ვერ გავიგებთ, რატომ ღიზიანდება ხელისუფლება განსხვავებული აზრის მოსმენისას, რატომ ესხმის თავს პარლამენტი სალომე ზურაბიშვილს პერმანენტულად და მისი არყოფნისას, რა ხდება ყოფილი პრემიერის სიკვდილის მიზეზების გამოძიებაში და ბევრ სხვა რამესაც ვერ გავიგებთ, რადგან ასე სურთ და მორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში კანონით ინფორმაციის მოპოვება არ იზღუდება, დღეს, ისე როგორც არასდროს, ყოვლად შეუძლებელი გახდა ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერი დაწესებულებიდან. ახალი ჩინოვნიკები თანამდებობებზე თავს სტაბილურად ვერ გრძნობენ. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებისას ხელი უკანკალებთ და მათ ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციაც სახელმწიფო საიდუმლო ჰგონიათ.

ხელისუფლება გადაწყვეტილებების აგრესიული განხორციელების უფლებას აძლევს საკუთარ თავს, ეს რევოლუციური ნოემბრიდან გამოყოლილი თვისებაა, მაგრამ, არსებობს რაღაც, რაც ამ "აგრესიას" უნდა ახლდეს, ეს გამჭვირვალობაა. იმედია, ხელისუფლება არ დაელოდება სტიქიას, რომელიც ამ ბურუსს გადარეცხავს და ამის გარეშე გახდება გამჭვირვალე, დაახლოებით ისეთი, როგორიც ავლაბრის შადრევანია.

# მკვლელობაში ეჭვმიტანილების ვინაობა ცნობილია

*ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წელს მარტო თბილისში სამოცამდე მკვლელობა და მკვლელობის მცდელობაა დაფიქსირებული. აქედან გახსნილია ორმოცდაათ დანაშაულზე მეტი და ათობით ადამიანი უკვე იხდის სასჯელს. წინა წლების სტატისტიკასთან შედარებით, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მძიმე დანაშაულმა იკლო. თუმცა, ერთის თქმა შეიძლება, მიმდინარე წელს მკვლელობის იარაღად უფრო ხშირად ცივი იარაღი - დანა ფიგურირებს. შეიძლება ითქვას ისიც, რომ, საქმიანი გარჩევებისა თუ ანგარიშსწორების ნაცვლად, მკვლელობების მიზეზი, ძირითადად, ურთიერთშელაპარაკება ხდება.*

ამ მიზეზით გუშინწინ თბილისში, გმირთა მოედანზე მდებარე ინტერნეტ-კაფესთან კიდევ ერთი მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა მოხდა. ინტერნეტ-კაფის მფლობელი გურამ წურწუმია გარდაიცვალა, მისი შვილი კი მძიმედ დაიჭრა. მოხდარ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მკვლელობის დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემობებში განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის მუხლებით აღიძრა.

როგორც გამოძიებამ თვითმხილველთა გამოკითხვით გაარკვია, გუშინწინ, ღამის ცხრის ნახევარზე ინტერნეტ კაფეში მყოფ რამდენიმე მოზარდს ინტერნეტ-კაფეს მფლობელ გურამ წურწუმიასთან და მის შვილთან შელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც ახალგაზრდებმა ინტერნეტ-კაფე დატოვეს. დაკითხულთა ჩვენებებით ისიც გაირკვა, რომ ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ, დაახლოებით, ხუთი პირი კოსტავას ქუჩაზე თავს დაესხა გურამ წურწუმიას და მის შვილს. ინტერნეტ-კაფის მეპატრონე თავდამსხმელებმა დანით ყელის არეში დაჭრეს და მიყენებული სასიკვდილო ჭრილობის შედეგად იგი ადგილზევე გარდაიცვალა, მისი შვილი კი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული, საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების მტკიცებით, დაჭრილის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე აღარ ემუქრება.



მკვლელობის ადგილი

შემთხვევის ადგილზე მაშინვე მივიდნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ და, როგორც თავად ირწმუნებიან, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც შეაგროვეს.

როგორც ჩვენთან საუბარში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ემზარ ღარიბაშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე დადგენილია ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე, რომელთა ასაკი 14-დან 16 წლამდე მერყეობს. თვითმხილველთა თქმით, მკვლელობაში ეჭვმიტანილები აღნიშნული ინტერნეტ-კაფის ხშირი სტუმრები იყვნენ. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მათი ვინაობა ოფიციალურად არ ხმაურდება. როგორც ღარიბაშვილისგან შევიტყვეთ, სამართალდამცველები უკვე ატარებენ ღონისძიებებს დამნაშავეთა დასაკავებლად. **24 საათი**

# მკაცრი განაჩენი - ოთხი წლით პატიმრობა ერთი ბოთლი ლუდისთვის

პირველი გვერდიდან

დავით ბერიკიშვილის საქმე თავდაპირველად დუშეთის რაიონის სასამართლომ განიხილა, მოსამართლემ სახელმწიფო ბრალმდებლების არგუმენტაციები მოისმინა და არ მიიჩნია, რომ მომხდარი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული იყო. სასამართლო კოლეგიამ აუცილებელ გარემოებად არ მიიჩნია არც ის, რომ ერთი ბოთლი ლუდის მითვისებაში ბრალდებულისთვის პატიმრობის მიესჯა და ამიტომაც განსასჯელი დარბაზიდან გაათავისუფლა.

ლმობიერი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პროკურატურამ განაჩენი გაასაჩივრა და ბერიკიშვილისთვის 11 წლით პატიმრობის მისჯა მოითხოვა.

**"მიუხედავად იმისა, რომ ბერიკიშვილმა გამყიდველს მიყენებული ზიანი მეორე დღესვე აუნაზღაურა, პოლიციამ და პროკურატურამ საქმე სასამართლომდე მაინც მიიტანეს და, როგორ გასაკვირიც უნდა იყოს, სახელმწიფო ბრალმდებელმა ბერიკიშვილისათვის სასჯელად თერთმეტი წლით დაპატიმრება მოითხოვა. პროკურატურა არ დაეთანხმა დაცვის არგუმენტაციას, რომ კანონით დაუშვებელია, ერთი ბოთლი ლუდის გამო ადამიანის 11 წლით დაპატიმრება, მომხდარის დანაშაულად განხილვა, ზარალის და ქმედების უმნიშვნელო ხასიათიდან გამომდინარე",** - აცხადებს ბერიკიშვილის ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი.

ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გააუქმა დუშეთის სასამართლოს განაჩენი და ბერიკიშვილს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურამ სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც ლმობიერად მიიჩნია და საკასაციო საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა. საკასაციო პალატამ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ბერიკიშვილს 11 წლით პატიმრობა არ მიუსაჯა, მაგრამ ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც, ერთი ბოთლი ლუდის გამო ბერიკიშვილს 4 წლით პატიმრობა მიესაჯა.

მართლმსაჯულების ბოლო ინსტანციამ, რომელსაც, წესით, პრეცედენტული განაჩენი უნდა გამოეტანა, ბერიკიშვილი მკაცრად დასაჯა. არადა, მოსამართლე ნუგზარ გაბრიჩიძე სწორედ პრეცედენტული მართლმსაჯულებითაა ცნობილი. ამ ბოლო პერიოდში მან ერთმანეთის მიყოლებით გამოიტანა პრეცედენტული განაჩენები და თანაც - საკმაოდ მძიმე ბრალდების საქმეებზე. სულ ცოტა ხნის წინათ გაბრიჩიძემ მსგავსი ბრალდების მქონე მსჯავრდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა კიდეც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობიდან გათავისუფლდა პირი, რომლისთვისაც პროკურატურა 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

კახა იორამაშვილს ბრალად ქურდობა ედებოდა. იორამაშვილმა 2004 წლის 20 ივნისს დუშეთის რაიონის სოფელ წიფრანში მდებარე ლევან ქავთარაძის საცხოვრებელი სახლის სარდაფიდან 55 ლარად ღირებული ხილის არყით სავსე 20-ლიტრიანი ბოცა მოიპარა.

აღნიშნული დანაშაულისთვის იორამაშვილს, დუშეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელმა - დუშეთის რაიონის პროკურორის თანაშემწემ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რადგან მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება ჰუმანური იყო და იორამაშვილს სასჯელი მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა მოეხადა. ამის საფუძველზე, პროკურორმა იორამაშვილისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით, ბრალდებულს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რაც, თავის მხრივ, პროკურორმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, რომელსაც მოსამართლე ნუგზარ გაბრიჩიძე თავმჯდომარეობდა, არათუ პროკურორის აზრი გაიზიარა, არამედ ზედმეტად მკაცრად მიიჩნია საოლქო სასამართლოს განაჩენიც. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს საბოლოო განაჩენით, იორამაშვილს განაჩენით შეფარდებული სასჯელი პირობითი მსჯავრით შეეცვალა და დაკავებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

დავით ბერიკიშვილის საქმე უახლოეს მომავალში სტრასბურგში გაიგზავნება. **"პროკურატურასა და სასამართლოს მეტი ობიექტურობა მართებთ. ასეთი ტიპის საქმეები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ პროკურატურას და სასამართლოს არაფრად მიაჩნიათ ქვეყნის პრესტიჟი. საქართველოს სამართლებრივ სისტემას ასეთი საქმეები უარყოფით იმიჯს უქმნის. ეს საქმე, სამწუხაროდ, დასტურია იმისა, რომ ჩვენი სამართლებრივი თვითშეგნება შორსაა ევროპული ოჯახისაგან. ბერიკიშვილის საქმეს აუცილებლად გავასაჩივრებთ სტრასბურგში და მოვიგებთ კიდეც, რადგან ვიმეორებ, არ შეიძლება, ადამიანი, ერთი ბოთლი ლუდის მითვისების გამო, 4-წლიანი პატიმრობისთვის გაწირო",** - აცხადებს არჩილ ჩოფიკაშვილი.

**24 საათი**

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა;
ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია;
კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

# ბიბლიოფილები და ბიბლიოფობები

პირველი გვერდიდან

**- თქვენმა წინამორბედებმა, ალექსანდრე კარტოზიამ და ლევან ბერძენიშვილმა, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორობას პოლიტიკოსის კარიერა ამჯობინეს. ეს თანამდებობა ერთგვარი ტრამპლინია პოლიტიკურ სარბიელზე მოსახვედრად?**

- ჩემთან დაკავშირებით ეს ასე არ არის. ამ თანამდებობაზე სრულიად მოულოდნელად დავინიშნე. მერწმუნეთ, იმის საშუალება ნამდვილად მქონდა, რომელიმე ათეული პარტიიდან პოლიტიკურ ასპარეზზე გავსულიყავი. საქმე ისაა, რომ ბევრ პარტიაში მყავს მეგობრები. ერთადერთი პარტია, სადაც არავინ მეგულება, მგონი, კომუნისტური პარტიაა, თუმცა კარგად თუ ჩავეძიები, ნაცნობს იქაც გამოვნახავ. თავის დროზე ვანო ხუხუნაიშვილს ვეხმარებოდი საარჩევნო კამპანიის დროს და, როგორც ჩანს, სახალხო პარტიის წევრად ჩამთვალეს. ფიქრია ჩიხრაძესთან, ლევან გაჩეჩილაძესთან და დათო გამყრელიძესთანაც ვმეგობრობ. ჩემი "მემარჯვენეობაც" ამ ფაქტმა განაპირობა. მაგრამ ისე კი მოხდა, რომ ჩემი სახელი ყოველთვის ოპოზიციური პარტიების გვერდით გაისმოდა. რაც შეეხება მოძრაობას "წინ საქართველო", ერთ გაზეთში წავიკითხე, თურმე ამ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელიც ვყოფილვარ. ახალი დანიშნული ვიყავი და, როგორც ჩანს, ჩემი სკანდალში გარევა უნდოდათ. სხვათა შორის, მათაც ძალიან კარგად ვიცნობ, ბევრი იდეა მოვუწონე კიდეც, მაგრამ ამ მოძრაობის წევრი, მით უფრი დამფუძნებელი, არ ვარ. საერთოდაც, არასდროს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი.

**- როდესაც ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მეტს ნიშნავდა, ვიდრე პოეტი ილია ჭავჭავაძე, ბევრმა ეს განცხადება არაადეკვატურად აღიქვა. იგივე მოხდა ემზარ ჯგერენაიას შემთხვევაშიც. იგი ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო და უმრავლესობა მოელოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მასვე დაამტკიცებდა. მაგრამ ემზარ ჯგერენაიამაც განსხვავებული აზრი გამოთქვა, ოღონდ - ქართულ სუფრაზე. ეს ხომ არ გახდა ამ თანამდებობაზე თქვენი და არა მისი დანიშვნის მიზეზი?**

- მე მგონი, ამ შემთხვევაში ნეიტრალური ფიგურა ამჯობინეს - არც უკიდურესი მემარჯვენე და არც უკიდურესი მემარცხენე. ამ საკითხზე მეც ხშირად ვფიქრობ. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ შეაჩერა ნინო ბურჯანაძემ არჩევანი მაინცდამაინც ჩემზე. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მე რომ ახლა თქვენ დაგნიშნოთ საჯაროს დირექტორად, ხომ უნდა გიცნობდეთ. მანამდე პარლამენტის თავმჯდომარეს ერთადერთხელ შევხვედი ქუთაისში, როდესაც "არაჩვეულებრივი გამოფენის" 35 წლისთავს აღნიშნავდნენ. მაშინ მე სცენაზე აღმოვჩნდი, ქალბატონი ნინო - დარბაზში. სულ ეს იყო და ეს. როდესაც ეს წინადადება შემომთავაზეს, ცოტა არ იყოს, დავიბენი, თანაც ადმინისტრაციული თანამდებობა დიდად არ მხიბლავდა. თავის დროზე ოთხი წელი ვიმუშავე საგარეო საქმეთა სამინისტროში სამმართველოს უფროსად. იქ მხოლოდ ოთხი ქალი იყო ჩემს დაქვემდებარებაში, ახლა 450 თანამშრომლის უფროსი ვარ. ჩინოვნიკობა ჩემთვის იმდენად მიუღებელი იყო, იქიდანაც გამოვიქეცი.

**- მაგრამ რა ვუყოთ მაია ნადირაძეს - ის ხომ თქვენი ახლო ნათესავია?**

- ქალბატონმა მაიამ, ისევე, როგორც ჩემმა მეუღლემ, ტელევიზიით შეიტყო ჩემი დანიშვნის ამბავი. სხვათა შორის, ქალბატონმა ნინომაც მეორე დღეს გაიგო, რომ მე და მაია ნადირაძე ახლო ნათესავები ვართ - ჩემი მეუღლე და მისი მეუღლე და-ძმა არიან. ამ ფაქტორს ნამდვილად არ უმუშავია, მით უმეტეს, რომ მე არ ვარ ნაციონალური მოძრაობის დიდი მომხრე და, არა მგონია, მაიას ჩემთვის რეკომენდაცია გაეწია.

**- გამოდის, რომ თქვენ ნაციონალურ მოძრაობას ემიჯნებით?**

- აშკარად ვემიჯნები. ქალბატონი ნინოს გარდა, დღესაც არანაირი კონტაქტი არ მაქვს მათ ლიდერებთან. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს უარს ვეუბნებოდი, მიმიხვდა, რომ არ ვიპრანჭებოდი. ჯერ ერთი, რუსეთის არქივებში ვაპირებდი სამუშაოდ წასვლას სინოდის მასალების გასაცნობად. მეორეც, ჩემი დოქტურანტურის პროგრამას ინგლისი აფინანსებდა, მათი სტიპენდია კი ჩემს დღევანდელ ხელფასს ბევრად აღემატება. გარდა ამისა, ცხოვრების წესი უნდა შემეცვალა. ერთი სიტყვით, უარის თქმის ბევრი მიზეზი გამაჩნდა. ბოლოს ქალბატონმა ნინომ ასე მითხრა: ბატონო ზაზა, ასეთი რა გაკადრეთ, ბოლოს და ბოლოს დეპუტატობა ან მინისტრობა ხომ არ შემომითავაზებიაო?! გულიანად ვიცინე.

**- იმისათვის, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ქვეყნის მთავარი წიგნთსაცავის ფუნქცია შეასრულოს, სხვა ბიბლიოთეკებიც გამართულად უნდა მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ერთიანი საბიბლიოთეკო ქსელი საქართველოს მასშტაბით თითქმის მოშლილია...**

- იყო დრო, თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითის არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა სრული დატვირთვით მუშაობდა. ასე მხოლოდ ამ სოფელში არ ხდებოდა. ბიბლიოთეკებში დღესაც უამრავი ხალხი დადის (მხოლოდ საჯარო არ მაქვს მხედველობაში). ჩემი დანიშვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ პატრიარქს შევხვდი. მისმა უწმინდესობამ მომილოცა და მითხრა, ახლა მკითხველი უნდა მოიზიდოთო. როგორც ჩანს, მას არ ჰქონდა სრული ინფორმაცია ჩვენზე. ასე ვუპასუხე: ჩვენ რომ მეტი მკითხველი მოვიზიდოთ, ველარ დავატევთ -მეთქი. პერიოდიკის განყოფილებაში ხშირად ხალხი ფეხზე დგას და დასაჯდომ ადგილს ელოდება. სხვა საქმეა, რამდენად სწრაფად ვემსახურებით მათ.

**- უკვე მივეჩვიეთ: სანამ აქ წიგნს საცავიდან ამოიტანენ, შეგიძლია ერთი საათი რუსთაველზე ისეირნო. ეს ტრადიცია როდის შეიცვლება?**

- ეროვნული ბიბლიოთეკა საკმაოდ დიდი სტრუქტურაა, 21 განყოფილებასა და რამდენიმე ცენტრს აერთიანებს, ასე რომ, ერთბაშად ყველაფრის შეცვლას ვერ შეგპირდებით. თუ მთლიანად შენობის, შესაბამისად, საცავების საკითხი არ მოგვარდება, კიდევ დიდხანს მოგიწევთ წიგნის ლოდინში რუსთაველზე სეირნობა. ამას ემატება ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციის პრობლემაც. როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ მკითხველმა კომპიუტერში უნდა მოიძიოს მისთვის საჭირო ეგზემპლარი და კატალოგის ქექვით თვალები არ ამოიღამოს. ეს პროცესი პრაქტიკულად ლევან ბერძენიშვილის დროს დაიწყო, როდის დასრულდება, პროგნოზის გაკეთება ჯერეჯერობით ნაადრევია. მიზეზი, რა თქმა უნდა, უფულობაა. წინ მიდევს დაახლოებით 50 ქართველი ბიზნესმენის სია, სხვა გზა არა მაქვს: უნდა ვიარო კარდაკარ და ეს ხალხი შევაწუხო. ვილაცას კომპიუტერი ვთხოვო, ვილაცას - პრინტერი, პრესი, მტვერსასრუტი ... ჩვენს ფონდებში უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი. სიმართლე გითხრათ, მიკვირს კიდეც, როგორ ჩერდებიან იქ თანამშრომლები. აქ როცა მოვედი, სახელმწიფო დაფინანსება უკვე გაზრდილი იყო - 2 მილიონ 400 000 ლარი. ამხელა დაფინანსება არასოდეს ყოფილა. თანამშრომლებს ხელფასები მოემატათ და კვლავაც მოემატებათ. მომავალ წელს გაზრდილი ბიუჯეტიდან 150 000 ლარი ტექნიკისთვის რომ გამოვიყენოთ, ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იქნება.



**- მაგრამ ბიბლიოთეკას უპირველესად ახალი წიგნები სჭირდება ...**

- 1992 წლიდან წიგნების დიდი პარტია (დაახლოებით 4000 ეგზემპლარი) ბიბლიოთეკაში არ შემოსულა. წელს პირველად მოხდა, რომ ბიუჯეტმა ფონდების შევსების შესაძლებლობა მოგვცა.

**- და პრობლემებმა ახლა უკვე საბაჟოზე იჩინა თავი?**

- ფონდების შესავსებად ბიუჯეტში 50 00 ლარი იყო გათვალისწინებული, რაშიც წიგნების ტრანსპორტირების ხარჯებიც შედიოდა. საბაჟოზე პრობლემა ნაჩუქარმა წიგნებმა შეგვიქმნა. არადა, ისინი კერძო პირს კი არ აჩუქეს, სახელმწიფოს გადმოსცეს. კანონი ამ შემთხვევაში აშკარად გადასახედია. ბიბლიოთეკამ არც ისე ბევრი გაიღო - სულ 260 ლარი, მაგრამ საქმე საკითხისადმი მიდგომაშია. როცა წიგნი რომელიმე სახელმწიფო ბიბლიოთეკისთვისაა განკუთვნილი, ეს ხომ კულტურული პროგრამის ნაწილია და შეღავათებს უნდა ითვალისწინებდეს.

**- ასე იქამდე მივალთ, რომ ვერა და ვერ მივიღეთ კანონი ქველმოქმედების შესახებ...**

-მე თუ მკითხავთ, ეს დანაშაულია. გასაგებია, რომ ამ კანონს ნეგატიური მხარეც ახლავს, მაგრამ ჩვენი კუკლტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ქველმოქმედების კანონის ამოქმედებით გაცილებით მეტს მოვიგებთ, ვიდრე წავაგებთ. წიგნებს რომ თავი დავანებოთ, ეს შენობა (ყოფილი სათავადაზნაურო ბანკი) კულტურის ძეგლია, მას კი სასწრაფო რეკონსტრუქცია სჭირდება. დათო ლორთქიფანიძე მეუბნება, თქვენი სახურავის შიშით, ფანჯრიდან ველარ ვიყურებითო. ეს სფეროები რომ გადმოვარდეს, უბედურება მოხდება. როგორც ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ამიხსნა (სხვათა შორის, ის საჯაროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორი იყო), ეს შენობა ქალაქის ბალანსზე არ ირიცხება, თუმცა დაგვპირდა, გარე განათებას გაგიკეთებთო. ამასობაში იგი გაანთავისუფლეს და... სამაგიეროდ, ჩვენც მოვხვდით ბიძინა ივანიშვილის სიაში და იმედი გვაქვს, აპრილიდან საჯაროს რეკონსტრუქცია დაიწყება. ეს დაახლოებით 8 მილიონი დაჯდება.

**- როგორია თქვენი ურთიერთობა გამომცემლებთან?**

- ზოგი თითო ეგზემპლარს მაინც გვაწვდის, ზოგი - არა. პრესასთან დაკავშირებითაც იგივე ხდება. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ეს მხოლოდ გამომცემლების პრობლემაა, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როცა ახლი გაზეთის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოსულა და მერე ეს გაზეთი დახურულა. გადის დრო და ის რამდენიმე ნომერი უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა ხდება. გვაქვს 1919-20 წლებში გამოშვებული გაზეთების მხოლოდ ათი ნომერი და ის ეგზემპლარები დღეს ჩვენი განძია. ეს რაც პრესას შეეხება. ყველა ბიბლიოთეკას აქვს თავისი მუზეუმი. ჩვენთან ამას რარიტეტის განყოფილება ჰქვია, თუმცა გვინდა, რომ მომავალში ის მუზეუმად იქცეს. მაგრამ აქვე დგას ამ უნიკალური წიგნების რესტავრაციის პრობლემა. გვაქვს რესტავრაციისა და ჰიგიენის ცენტრი და მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ჩვენი თანამშრომლები თავს არ ზოგავენ. მაგრამ არა გვაქვს გერმანული წებო, იაპონური ქაღალდი, გვჭირდება პრესი, შხამქიმიკატები, სპეციალური კარადები... რაც შეეხება კადრების გადამზადებას, უკვე მოველაპარაკე ხელნაწერთა ინსტიტუტისა და მუზეუმის დირექციას. ორ უცხოელ სპეციალისტს მაინც, რომლებიც დაახლოებით 10 კაცს გაუზიარებენ ცოდნას, აუცილებლად მოვიწვევთ.

## ან ათი, ან არცერთი

*საჯაროს გარდა სხვა ბიბლიოთეკებიც არსებობს. იყო დრო, საქართველოს ყველაზე მიუვალი სოფლის ბიბლიოთეკაში მოწინავე ჟურნალ-გაზეთების გვერდით ყველა ჟანრის მხატვრულ ლიტერატურას თუ სამეცნიერო პუბლიკაცებს გაეცნობოდით. დღეს გამართულ საბიბლიოთეკო ქსელზე ლაპარაკი უხერხულიც კია, თუმცა რა ქმნის ამ უხერხულობას, ამაზე ღირს ყირადღების გამახვილება.*

იურისპრუდენციის ისტორიიდან ერთი ასეთი მაგალითი მაგონდება: ახალგაზრდა კაცმა დედა და და ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა. "ამაზე უარესი რა უნდა იყოსო", - იკითხა პროკურორმა. "ამაზე უარესი ის იქნებოდაო, - ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ერთმა ცნობილმა ვექილმა, - მამა და ძმა რომ გაეუპატიურებინა და მერე მოეკლაო." ჩვენი საქმეც დაახლოებით ასეა. იმ 64 ბიბლიოთეკიდან, რომელებსაც თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანება აერთიანებდა, სამოცდაოთხივე რომ გაყიდულიყო, ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდაც აღარ მოგვიწევდა. ამ ლოგიკით ათი ბიბლიოთეკის დაკარგვა რა მოსატანია, მით უფრო, თუ ათივე კარგა ხნის წინათ გაიყიდა. მაგრამ ბიბლიოთეკებში ხალხი მაშინაც დადიოდა. ისინი კი, - პენსიონრები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, - დღესაც არ არიან დაზღვეულნი, რომ ერთხელაც ნაცნობ ბიბლიოთეკას მიაშურებენ, იქ კი სახინკლე ან საპარიკმახერო დაუხვდებათ. რვა წლის წინანდელ ამბებს სწორედ ამ მიზნით ვუბრუნდებით.

1997 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებაში ვკითხულობთ: "... უსახსრობის გამო ბიბლიოთეკებს წლების განმავლობაში არ ჩაუტარებიათ სარემონტო სამუშაოები, არ განუახლებიათ წიგნების ფონდი, თანამშრომლები მცირე ხელფასის პირობებში ახერხებენ არსებული ფონდის შენახვას და მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ქ.თბილისის ბიბლიოთეკების ქსელს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საჭიროდ მიაჩნია საბიბლიოთეკო ქსელის რეორგანიზაცია მათ მიერ იჯარით დაკავებული ფართობების ნაწილის ჩაბარებით, ხოლო ნაწილის მათ ბალანსზე გადაცემით, რაც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიბლიოთეკების ნორმალურ ფუნქციონირებას." დადგენილებას ხელს აწერს თბილისის ვიცე-მერი, მუნიციპალიტეტის პრემიერი მალხაზ ჩაჩავა. ყველაფერი, რაც ამ დადგენილებაშია ნათქვამი, სრული სიმართლეა, მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ ბიბლიოთეკების ნაწილის გაყიდვის შემდეგ დანარჩენების მატერიალური მდგომარეობა საერთოდ არ გაუმჯობესებულა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბიბლიოთეკები იმხანად აქეთ იხვეწებოდნენ - მართალია, კი ვახერხებთ მკითხველთა ინტერესების დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს საქმე უკეთ რომ შევძლოთ, 12 ბიბლიოთეკას ფეშქაშად ვიძლევითო. კომენტარისთვის გიგი წერეთელს მივმართეთ, რომელიც იმ დროს თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე იყო და ბიბლიოთეკების კურირება ევალებოდა. მისი განმარტებით, მაშინდელი გადაწყვეტილება სამართლიანი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაერში გამოკიდებული ბიბლიოთეკები მთლიანად გაიყიდებოდა. საინტერესო ვერსიაა. სახლმართველობების გაუქმების შემდეგ, რომელთა ბალანსზედაც ირიცხებოდა ბიბლიოთეკები, მათი სტატუსი მართლაც გაურკვეველი გახდა. მაგრამ იმ გარიგებას, რაც ბიბლიოთეკებსა და მუნიციპალიტეტს შორის შედგა, სახელმწიფო რეკეტი ჰქვია: ან 12 ბიბლიოთეკას დათმობთ, ან არადა, ყველას გამოუჩნდება პატრონიო. სხვათა შორის, ბიბლიოთეკების გაერთიანებამ გასაყიდად გამზადებული 12 ფართიდან 2 მაინც შეინარჩუნა და საბოლოოდ მხოლოდ 10 ბიბლიოთეკა დათმო.

დადგენილების გამოტანის შემდეგ თბილისის ქონების მართვის დეპარტამენტმა (თავმჯდომარე: ვახტანგ კვიციანი) ბიბლიოთეკებს ჩამორთმეული ფართები პირდაპირი წესით გაყიდა. ერთი ინსტანციიდან მეორეში სიარულით მხოლოდ შვიდის ალიკვალს მოვაგენით, თუმცა საერთო სურათის შესაქმნელად ესეც კმარა. მარტო ამ შვიდი არასაცხოვრებელი ფართის გაყიდვით სახელმწიფო ბიუჯეტი 43 ათასი აშშ. დოლარით შეივსო, ბიბლიოთეკებს კი მომდევნო წლის ბიუჯეტი მხოლოდ 2500 ლარით გაეზარდათ. მაგრამ მთავარი მთელ ამ დავიდარაბაში ისაა, რომ კანონი უხეშად დაირღვა და გაიყიდა ის, რისი გაყიდვაც დაუშვებელი იყო. თუ სახელმწიფო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბიბლიოთეკებს ამხელა ფართი აღარ სჭირდებოდათ (არადა, თანამშრომლები საპირისპიროს ამტკიცებენ), ჯერ კანონი უნდა შეცვლილიყო და უკვე ამის შემდეგ გაყიდულიყო მათი ნაწილი. ფაქტებიც ამასვე მოწმობს. ამ ფართების გაყიდვამდე ერთი წლით ადრე 1996 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: "აკრძალულია სახელმწიფო ბიბლიოთეკების პრივატიზაცია" (თავი VII, მუხლი 29.). ერთი წლის თავზე, კერძოდ 1997 წლის 12 ივნისს, შევარდნაძე ხელს აწერს საქართველოს კანონს კულტურის შესახებ, საიდანაც ასევე ვგებულობთ, რომ ბიბლიოთეკები პრივატიზაციას არ ექვემდებარება (თავი IV, მუხლი 27). იმავე წლის 17 ივნისს კი მუნიციპალიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ორივე კანონს ეწინააღმდეგება. კიდევ ერთი დეტალი: მერია და მუნიციპალიტეტი იმდენად ოპერატიულად მოქმედებდნენ, რომ ყოფილი ბიბლიოთეკების გაყიდვა დადგენილების გამოტანისთანავე, ივლისში იწყება და სექტემბერში უკვე მთავრდება. მანამდე კი, სულ რაღაც სამი თვით ადრე, 1997 წლის 26 მარტს, ფუძნდება შ.პ.ს. "რეა", რომლის საქმიანობის სფეროა ტურიზმი, სავაჭრო-კომერციული საქმიანობა, ექსპორტ-იმპორტი, სააფთიაქო ქსელის შექმნა და ავტოტექმომსახურება. როგორც ჩანს, ამ "რეას" საქმეები იმდენად კარგად წაუვიდა, რომ დაფუძნებიდან ექვს თვეში ოთხი ბიბლიოთეკა (მირცხულავას, გორგასლის, აღმაშენებლის, ხეთაგუროვის ქუჩებზე) შეისყიდა 21141 აშშ. დოლარად. დანარჩენი ფართები ასე გადანაწილდა: ფალიაშვილის ქუჩა კერძო პირს ერგო, ბესიკის ქუჩა - სააქციო საზოგადოება "სოიუზ ა.ლ."-ს, მოსკოვის გამზირი კი - შ.პ.ს. "გ.ა.გ."-ს. საკითხი ალბათ ასე უნდა დაისვას: დამნაშავეა არა ის, ვინც იაფად ყიდულობს, არამედ ის, ვინც იაფად ყიდის, ანუ სახელმწიფო. სწორედ ამ მიზეზით მიზანშეუწონლად მიგვაჩნია მათი დასახელება, ვინც ეს ფართები შეისყიდა. მით უფრო არაფერი გვაქვს სადავო მათ დღევანდელ მფლობელებთან. ერთი კია: იმ ფასების გათვალისწინებით, რა ფასადაც ეს ფართები გაიყიდა, შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ პირვანდელმა მყიდველებმა სხვებზე ბევრად ადრე შეიტყვეს მათ შესახებ.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ გაყიდულ ფართებს. ბიბლიოთეკები, როგორც წესი, პირველ სართულზე იყვნენ განთავსებული რაიონის ყველაზე კარგ ადგილას. სწორედ ეს გახდა მათთვის ფართის ჩამორთმევის მიზეზი. დღეს მათ ადგილას სულ სხვა პროფილის ობიექტებია გახსნილი. ასე მაგალითად: აღმაშენებლის გამზირზე მაღაზია "დანქეს" აღმოაჩენთ, ხეთაგუროვზე - "კოდაკის" სალონს, მირცხულავაზე საპარიკმახეროს, ბესიკის ქუჩაზე - აფთიაქს, მოსკოვის გამზირზე - რესტორანს, გორგასალზე - რაღაც შენდება. რაც შეეხება ფალიაშვილის ქუჩას, იქ დღემდე არაფერი გახსნილა, თუმცა სარემონტო სამუშაოები დროდადრო მიმდინარეობს.

1997 წელთან შედარებით ფასებმა ბევრად იმატა, მაგრამ იმდენად არა, რომ ელემენტარულმა კალკულაციამ თავ-გზა აგვიბნიოს.

| | | |
|---|---|---|
| მირცხულავას ქ. N 6 | 80 კვ.მ. | 3640$ |
| გორგასლის ქ. N39 | 90 კვ.მ. | 4657$ |
| აღმაშენებლის N16 | 45 კვ.მ | 3720$ |
| ხეთაგურივის ქ. N 4 | 182 კვ.მ. | 9124$ |
| ფალიაშვილის ქ. N 41 | 192 კვ.მ | 12994$ |
| ბესიკის ქ. N 15 | 68 კვ.მ. | 3640$ |
| მოსკოვის გამზ. N 11 | 64 კვ.მ. | 5404$ |

როგორც ჩანს, იმ წლებში მოსკოვის გამზირი უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა.

(1 კვ.მ. - 84 აშშ. დოლარი), ვიდრე ფალიაშვილის ქუჩა (1 კვ.მ. - 67 აშშ. დოლარი). დღეს ვაკეში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 800 დოლარზე ნაკლები არ ღირს, მაგრამ ვერც მაშინ შეიძენდით 192 კვადრატულ მეტრს 13 ათას დოლარად, მით უფრო, როცა ლაპარაკია არასაცხოვრებელ ფართზე, რაც იმთავითვე მისი კომერციული მიზნით გამოყენებას გულისხმობს.

## ცნობილი საქმის უცნობი დეტალები

დარჩენილ 54 ბიბლიოთეკაში მკითხველი კვლავინდებურად დადის - მაშინაც, როცა ძალიან ცხელა, და მაშინაც, როცა გაყინულ და ჩაბნელებულ დარბაზში ნესტის სუნი უფრო მძაფრად იგრძნობა. ბოლო ორ წელიწადში გაზრდილი ბიუჯეტი (800 000 ლარი) იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ყოველწლიურად თითო ბიბლიოთეკა კაპიტალურად შეკეთდეს, ათს კი კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდეს. ამისდა მიუხედავად, ბიბლიოთეკების უმრავლესობა კვლავინდებურად მძიმე მდგომარეობაში რჩება. ბევრი მათგანი ავარიულ შენობაშია განთავსებული. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება ამ ბიბლიოთეკების საცავებში. ის ფაქტი, რომ თანამშრომლები მკითხველს მაინც ემსახურებიან, მკითხველები კი ჯიუტად დადიან, ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

1908 წელს ძმებმა ზუბალაშვილებმა იმ შენობაში, სადაც ამჟამად მარჯანიშვილის თეატრი მდებარეობს, ბიბლიოთეკა გახსნეს. ოცი წლის თავზე ბიბლიოთეკამ დღევანდელი ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის კუთხეში მდებარე შენობაში დაიდო ბინა. ეს ქალაქის ერთ-ერთი ცნობილი ბიბლიოთეკაა - სამწუხაროდ, იმითაც ცნობილი, რომ მას ადრე თუ გვიან აქაურობის დატოვება მოუწევს. როდესაც საქართველოში სახლმართველობები გაუქმდა და დიდი პრივატიზაცია დაიწყო, არ ვიცი, დირექციას ეძინა ყურთბალიშზე ტკბილად თუ სხვები აღმოჩნდნენ ყოჩაღები, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ ბიბლიოთეკა მდგმურის სტატუსს დასჯერდა. დღეს ეს შენობა სააქციო საზოგადოება "მასპინძელს" ეკუთვნის. ზედა სართულზე ფინანსთა სამინისტრო ჯერ კონტროლის პალატამ შეცვალა, შემდეგ სატუმრო "ევროპამ", რომელსაც განსაკუთრებით ხშირად თურქი მამაკაცები სტუმრობენ. ბიბლიოთეკას სანამ შეეძლო, იჯარის ფულს იხდიდა, როცა გაუჭირდა, დავალიანებაც დაუგროვდა - დაახლოებით 6 ათასი ლარი. განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ყაბულსაა, "მასპინძელს" დავალიანება გადაუხადოს, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი ბიბლიოთეკასთან სულ მცირე ხუთი წლით გააფორმებენ ხელშეკრულებას. "მასპინძელი" კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დადებს ხელშეკრულებას ბიბლიოთეკასთან, თუ ეს უკანასკნელი დავალიანებას დაფარავს. სასამართლოს დადგენილების თანახმად ბიბლიოთეკა უკვე კარგა ხნის გასახლებული უნდა იყოს.

სწორედ ამ ფაქტმა აღაშფოთა რამდენიმე თვის წინ საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელთა რიგებში ჯანსუღ ჩარკვიანიც ვიხილეთ. არათუ ვიხილეთ, მისი საყვედურებიც მოვისმინეთ შენობის ამჟამინდელი მფლობელის მისამართით. პრინციპულობაც ამას ჰქვია - იმ დღეს ჯანსუღ ჩარკვიანი საკუთარი სიძის წინააღმდეგ ილაშქრებდა. საქმე ისაა, რომ სააქციო საზოგადოება "მასპინძლის" ერთ-ერთი აქციონერი ჯანსუღ ჩარკვიანის სიძე ჯონი გიგანიც გახლავთ. ამ "მასპინძელს" ეკუთვნის სასტუმროები "კოლხეთი", "აფხაზეთი", "სამგორი" და "ევროპა" - ის "ევროპა", საალერსო თურქულ-ქართული ხშირად რომ გაისმის. როგორც ჩანს, ტრადიციულ ქართულ ოჯახში მახვშის სიტყვა კვლავინდებურად ჭრის. მიუხედავად იმისა, რომ თავად გიგანი სააქციო საზოგადოებაში აქციების მხოლოდ 10 პროცენტს ფლობს, რატომღაც დარწმუნებულია, რომ დანარჩენები მის რჩევებს გაითვალისწინებენ და ბიბლიოთეკასთან არათუ 5, არამედ 49 წლით გააფორმებენ ხელშეკრულებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საუბრისას მან ასე განაცხადა. კარგი ძალიან, მაგრამ ერთი კითხვა მაინც გამიჩნდა: ინვესტორი რომ გამოჩნდეს და იქ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გახსნას, ნეტა, პირველ სართულზე რესტორანს მოაწყობს თუ კლიენტებს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურით გაუმასპინძლდება? პასუხი გასაგებია, გაუგებარია, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამიერიდან, როცა ბატონ ჯანსუღს საპროტესტო აქციებზე ვიხილავთ.

# „სახალხო ბანკის" 125-ე ფილიალი მცხეთაში გაიხსნა

ნინო ნარჩემაშვილი

14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე **საქართველოს პრეზიდენტმა, ბ-მა მიხეილ სააკაშვილმა** ქალაქ მცხეთაში "სახალხო ბანკის" უკვე მეორე, საერთო ჯამში კი ბანკის რიგით "სახალხო ბანკის" 125-ე, ფილიალი გახსნა.

"სახალხო ბანკის" სრული სისტემა ყოველთვიურად დაახლოებით მილიონ ნახევარ ადამიანს ემსახურება. ანუ, საქართველოს მოსახლ;ეობის ნახევარი "სახალხო ბანკის" კლიენტია. ბანკის სტრატეგიას წარმოადგენს განავითაროს ფილიალების ქსელი ისე, რომ საბანკო მომსახურება მოსახლეობის ნებისმიერი ფენისათვის კომფორტული და ხელმისაწვდომი გახდეს მთელი საქართველოს მასშტაბით.





**გიორგი გოგუაძე**, "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი: "რა თქმა უნდა შეიძლებოდა ბანკი გახსნილიყო სხვა დღესაც, მაგრამ მე ვთვლი რომ ჩვენი ნაბიჯი გარკვეულწილად სიმბოლურ ხასიათსაც ატარებს. 125-ე ფილიალის გახსნა მცხეთაში მცხეთობაზე სიმბოლურია და მეტი პასუხისმგებლობაც გვეკისრება ამ დღესთან დაკავშირებით.

ჩვენი მიზანია ვიყოთ ხალხის სამსახურში და მოვემსახუროთ როგორც მოსახლეობას ისე ორგანიზაციებს. ახლადგახსნილი ფილიალის მიზანი, სტანდარტული საბანკო მომსახურების გარდა, რაიონში მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაც განხორციელებაც გახლავთ.

ვფიქრობ, ზოგადად ქვეყანაში და კონკრეტულად ამ რაიონშიც საკმაოდ სტაბილური სიტუაციაა იმისათვის, რომ როგორც მოსახლეობის, ისე ორგანიზაციების ცივილიზებული, სრულფასოვანი დაკრედიტებაც დაიწყოს."

"სახალხო ბანკის" ერთ-ერთი პრიორიტეტი მოსახლეობის ფართე ფენების მომსახურება და საბანკო ინფრასტრუქტურის სრულყოფა გახლავთ. ამ თვალსაზრისით ბანკი ევროპული სტანდარტებს მისდევს და სერვისთან ერთად ახალი ფილიალის ექსტერიერ-ინტერიერის დიზაინი თუ აღჭურვილობა ამ ტენდენციის კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ევროპულ დონეზე აწყობილ-გამართულ ბანკი მომსახურების თანაბარ პირობებს სთავაზობს ნებისმიერი კატეგორის კლიენტს, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა. რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **რომან გოცირიძის** აზრით, მართლაც მისასლმებელია.

"სახალხო ბანკის" ახალ ფილიალში ძირითადად უბრალო ადამიანები ივლიან. ბუნებრივია, ბანკის სერვისით ისარგებლებენ ბიზნესის წარმომადგენლებიც, მაგრამ მომსახურების სტანდარტი ყველასთვის ერთნაირია როგორც დედაქალაქში, ისე ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში. სწორედ ეს არის მისასალმებელი," ამბობს **გოცირიძე**.

ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის **ლანსელოტ ფლეტჩერის** მოსაზრებით კი "სახალხო ბანკი" ქართულ საბანკო სივრცეში ერთი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა - ის რეალურად დგას ხალხის სამსახურში და ცდილობს, საბანკო სექტორი ხალხის მოთხოვნებს დაუახლოვოს.

"დღეს ბევრი ბანკი აფართოებს თავის საქმიანობის სფეროს და ხსნის ახალ ფილიალებს, მაგრამ მხოლოდ "სახალხო ბანკი" ემსახურება რეალურად ხალხს. ის ცდილობს დააახლოოს საბანკო სექტორი ხალხთან. ეს ძალზე მინიშვნელოვანია, რადგან ძლიერი საბანკო სექტორი საქართველოს მომავალი ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ძლიერი საბანკო სექტორი ვერ გექნება, თუ მოსახლეობის დიდი პროცენტი არ ისარგებლებს საბანკო მომსახურებით. "სახალხო ბანკი" საბანკო მომსახურებას სულ უფრო მეტად ხელმისაწვდომს ხდის და ამას მხოლოდ საკუთარი ბიზნეს- ინტერსების გამო კი არ აკეთებს, არამედ რეალურად ითვალისწინებს მომხმარებელის ინტერსებსაც. ის ნამდვილად დიდებული ბანკია ქართველებისთვის," განაცხადა ბატონმა მრჩეველმა.

აღსანიშნავია, რომ "სახალხო ბანკი" წარმატებით ნერგავს საკრედიტო ბარათებს. ამ მიზნით უახლოეს მომავალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში "სახალხო ბანკის" 50 ბანკომატი განთავსდება, რაც საქართველოს მოსახლეობას ცივილიზებული საბანკო პროდუქტით სარგებლობის საშუალებას მისცემს ქვეყნის პრაქტიკულად ყველა ძირითად რაიონში.

გიორგი გოგუაძის განცხადებით, "მცხეთაში პირველი ბანკომატი სწორედ "სახალხო ბანკის" ფილიალში უახლოეს დღეებში დამონტაჟდება."

ფეხბურთი

# "დინამომ" ბრჭყალები გამოაჩინა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურმა სატურნირო ცხრილში დაწინაურებული დუეტის ფიასკოს ნიშნით ჩაიარა. დებიუტანტი, მაგრამ წარმატებული სტარტით შეგულიანებული და ამბიციებმოძალებული "ბორჯომი" მცხეთაში შერცხვა. რაც შეეხება აწ უკვე ყოფილ ერთპიროვნულ ლიდერს და მეორე ადგილზე ჩანაცვლებულ "სიონს", მან თბილისის "დინამოსთან" დათმო მატჩი.

სწორედ "დინამოს" და "სიონის" დაპირისპირება ცნო ფედერაციამ ცენტრალურად. მატჩი გუშინ ჩატარდა. ტურის ყველა დანარჩენი 7 შეხვედრა წინა ორ დღეზე გადანაწილდა. თავისი მნიშვნელობით გუშინდელი მატჩი არა მხოლოდ ტურში, არამედ მთელ პირველ წრეში (შესაძლოა, ჩემპიონატშიც) გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს. "დინამოს" ესტუმრა გუნდი, რომელსაც საწყის რვა ტურში მარცხი არ ჰქონდა განცდილი და, მეორე ტურიდან მოყოლებული, ზედიზედ შვიდ შეხვედრაში იზეიმა გამარჯვება. "დინამოს" კი, სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, სტარტი აშკარად ჩაუვარდა და წინა 8 ტურში მოგროვებული 13 ქულის გამო ჩემპიონატის აშკარა ფავორიტი მისთვის შეუფერებელ მე-5 პოზიციაზე იმყოფებოდა. სწორედ "სიონთან" თამაშს უნდა გაეხადა ნათელი, პირველ ტურებში განცდილი წაგებები დროებითი მოვლენა იყო თუ არა და გამოვიდა გუნდი კრიზისიდან თუ არა. მატჩს ისიც უნდა ეჩვენებინა, რამდენად საფუძვლიანია "სიონისა" და "დინამოს" პრეტენზიები ოქროს მედლებზე.

უნდა ითქვას, რომ ბრძოლა არ შედგა. უფრო ზუსტად, ლიდერმა ფავორიტს მხოლოდ მატჩის საწყის ნახევარ საათში გაუწია წინააღმდეგობა. ამ წუთებში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და, როგორც "დინამოს" მეკარე გრიშიკაშვილი, ისე მისი ბოლნისელი კოლეგა ბობლიაშვილი ძირითადად უსაქმოდ იყვნენ. თუმცა, ბობლიაშვილის უმოქმედობა 31-ე წუთზე დასრულდა, როცა სანდრო იაშვილმა ლამაზი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ოთხიოდე წუთში მეგრელაძემ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გოლი გაიტანა - ეს კარიდან ზურგით მდგომმა, ნახევარბრუნში, ეგრეთ წოდებული "მაკრატელათი" გააკეთა. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა - 2:0 "დინამოს" სასარგებლოდ.

მატჩის მეორე ნახევარში მოედანზე უკვე მხოლოდ ერთი გუნდი იყო - თბილისის "დინამო". კახა ცხადაძის შეგირდები რასაც მოისურვებდნენ, იმას აკეთებდნენ. "სიონი" მოედნის საკუთარი საჯარიმოს სიახლოვიდან ბურთის გამოტანასაც კი იშვიათად ახერხებდა. მის კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. მხოლოდ ბობოხიძემ ორი აშკარა და კიდევ რამდენიმე შედარებით ნაკლებად საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან. ორჯერ იაშვილსაც შეეძლო გოლის გატანა. რაც მათ ვერ შეძლეს, ბობოხიძის ნაცვლად მე-80 წუთზე შემოსულმა მელქაძემ გააკეთა: 86-ე წუთზე კუთხურიდან ნოზაძის ჩაწოდებულს იგი ლამაზ ნახტომში თავით შეწვდა და ანგარიშს სოლიდური სახე მისცა: 3:0 "დინამოს" სასარგებლოდ.



ამ დარტყმით სანდრო იაშვილმა ანგარიში გახსნა.

კახა ცხადაძე: "კმაყოფილი ვარ შედეგითაც და ჩემი გუნდის თამაშითაც. ფეხბურთელებმა ზუსტად შეასრულეს მატჩამდე მიცემული მითითებები. გამოჩნდა, რომ სანაკრებო თამაშების გამო ჩემპიონატში შექმნილი პაუზა ნაყოფიერად გამოვიყენეთ. რამდენიმე ახალი ტაქტიკური ვარიანტიც დავამუშავეთ, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო. მოხარული ვარ იმითაც, რომ ის ფეხბურთელები, რომლებსაც არცთუ სერიოზული ტრავმები ჰქონდათ, თანდათან მწყობრში დგებიან. რაც შეეხება კაშიას, ნერგაძეს და ბაბუნაშვილს, მომავალ წლამდე მოუწევთ დასვენება. მართალია, მათ ოპერაციები გაიკეთეს და გამოჯანმრთელების გზაზე არიან, მაგრამ გუნდის გაძლიერება სულაც არ მინდა მათი ჯანმრთელობის რისკის ფასად."

ორი დღის წინანდელი შეხვედრებიდან, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, გამოსარჩევია "ბორჯომის" მარცხი "ვიტ ჯორჯიასთან". ამ თამაშში გოლები (და საკმაოდ მრავლადაც) მხოლოდ ვეტერინარებს გაჰქონდათ. ანგარიში ფეიქრიშვილმა გახსნა მე-15 წუთზე, ოც წუთში კობიაშვილმა საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა, ხოლო მეორე ტაიმში მარცვალაძემ და მანწკავამ კიდევ ორი უპასუხო გოლი გაუტანეს ბორჯომელებს.

ჩემპიონატის სტარტამდე ფავორიტად შერაცხულმა და მწვრთნელგამოცვლილმა "ზესტაფონმა" მორიგი ორი ქულა დაკარგა. კობა ჟორჟიკაშვილის ახალმა გუნდმა იმერულ "დერბიში" ვერ შეძლო აუტსაიდერ ქუთაისის "ტორპედოს" დამარცხება. მეტიც: ზესტაფონელები სულაც მარცხდებოდნენ - სტუმართაგან 30-ე წუთზე ჯანაშიამ გამოიჩინა თავი, თუმცა, მე-60 წუთზე იონანიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით საკუთარ გუნდს ქულა გადაურჩინა.

ლიდერის პოზიციაზე კი გადაინაცვლა "ლოკომოტივმა", რომელმაც გამოკვეთილ აუტსაიდერს, ჯერ კიდევ უქულოდ მყოფ "თბილისს" გასვლით მატჩში 2:0 სძლია.

**მე-9 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (სხ) - დინამო (ბთ) | 2:1 |
| კოლხეთი - ამერი | 1:0 |
| კახეთი - დილა | 3:0 |
| თბილისი - ლოკომოტივი | 0:2 |
| ზესტაფონი - ტორპედო | 1:1 |
| ცხინვალი - სპარტაკი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია - ბორჯომი | 4:0 |
| დინამო (თბ) - სიონი | 3:0 |

9 ტურის შემდეგ "ლოკომოტივს 23 ქულა აქვს, სიონს - 22, ბორჯომს - 21, ვიტ ჯორჯიას - 19, დინამო (თბ) - 16, ამერს - 16, ზესტაფონს - 13, დინამო (ბთ) - 13, კახეთს - 12, დილას - 12, კოლხეთს - 12, დინამო (სხ) - 10, ცხინვალს - 9, ტორპედოს - 7, სპარტაკს - 4, თბილისს - 0.

მოკლედ

# საჩემპიონო სიმღერა "რენოსთვის"

ბიგა ბურასაშვილი

*სამეფო რბოლები დასრულდა! ფორმულა 1-ის საჯინიბოებმა გაისამდე ავტოფარეხში გადაინაცვლეს. სეზონათა შორის ტაიმ-აუტს კი ისევ რბოლები მოჰყვება და იმედია, იქნება ინტრიგაც, რომელიც მიხაელ შუმახერის ერთპიროვნულმა ბატონობამ სამეფო რბოლებს წაართვა. ერთი სიტყვით, ფორმულა 1 გაისამდე დაგვემშვიდობა, მანამდე კი... მანამდე "ჩინეთის დიდი პრიზი" ჩატარდა. "შანხაი ინტერნეშენალის" ავტოდრომმა უპასუხა უკვე ისტორიის საკუთრებად ქცეული ჩემპიონატის ბოლო კითხვას: ვინ დაეუფლება კონსტრუქტორთა თასს?*





ჩემპიონთა გუნდი.

როგორც კი შანხაის ავტოდრომზე "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ "ჩინეთის დიდი პრიზისა" და, იმავდროულად, ჩემპიონატის ბოლო წრე სასურველი შედეგით დაასრულა, ფინიშის ნიშნულის გადაკვეთისთანავე გუნდთან დამაკავშირებელი რადიოსიგნალის მეშვეობით "ქუინის" საჩემპიონო სიმღერა - "We Are The Champions" დააგუგუნა. ესპანელის სიმღერა იმის მაუწყებელი იყო, რომ ფრანგული მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი გიგანტი "რენო" კონსტრუქტორთა ჩათვლაშიც ჩემპიონი გახდა. საერთოდ კი ეს იყო ალონსოს მეშვიდე გამარჯვება წლევანდელ ჩემპიონატზე და 25-ე "დიდი პრიზი" ფრანგული საჯინიბოსთვის.

მას შემდეგ, რაც ესპანელმა ვადაზე ადრე გაინაღდა პირად პირველობაში ჩემპიონობა, "რენოს" უმთავრესი საზრუნავი გუშინდლამდე გუნდებს შორის ჩემპიონობა რჩებოდა. კონსტრუქტორთა თასისთვის დუელში კი ორი საჯინიბო წარდგა ერთმანეთის პირისპირ: ფრანგული "რენო" და ინგლისური "მაკლარენი". ფრანგები გუშინდლამდე ორი ქულით უსწრებდნენ ინგლისელებს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სხვა საჯინიბოთაგან ვერავინ ჩაებმებოდა. მართლაც, ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა. დუელი შაბათის კვალიფიკაციით დაიწყო და კვირას დასრულდა. რენოელებმა კვალიფიკაციიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა, როდესაც ალონსომ და მისმა იტალიელმა თანაგუნდელმა ჯანკარლო ფიზიკელამ სასტარტო ნიშანთან დგომის პატივი ირგუნეს. მოწინავე პოზიციების მიუხედავად, ზურგს უკან სახიფათოდ ახლოს განლაგებული მაკლარენელთა ბოლიდების სუნთქვის ხმა მათ მაინც არ აძლევდათ მშვიდად ყოფნის საშუალებას. კიმი რაიკონენმა მესამე პოზიციიდან აიღო სტარტი, ხოლო ხუან პაბლო მონტოიამ - მეხუთიდან.

სტარტზე ვნებათაღელვამ იმატა. ალონსომ ისე დაიწყო და დაამთავრა რბოლა, რომ მოწინავის პოზიცია არ დაუთმია. თუმცა, ამაში დიდი როლი მიუძღვის ალონსოს თანაგუნდელს ფიზიკელასაც, რომელმაც პირველობისთვის ჩასაფრებულ მაკლარენელებს დაწინაურების საშუალება არ მისცა და შეძლებისდაგვარად გზას ულობავდა. ამიტომაც იყო, რომ ესპანელმა მდევრებთან უპირატესობა საგრძნობლად გაზარდა. ინგლისელთა საჯინიბოს დაწინაურების შანსი კი ყოველ წუთს ფერმკრთალდებოდა. ის, რომ კონსტრუქტორთა თასს "რენო" დაეუფლებოდა, მას შემდეგ უფრო აშკარა გახდა, რაც მონტოიას ბოლიდს ერთ-ერთ მოსახვევში წინა მარჯვენა საბურავი დაუზიანდა. კოლუმბიელი იძულებული გახდა ბოქსებისკენ აეღო გეზი. მონტოიას იძულებით გასვლას ტრასაზე პეისქარის გამოჩენა მოჰყვა. საერთოდ, უსაფრთხოების მანქანა "შანხაი ინტერნეშენალის" ავტოდრომზე ორჯერ გამოიძახეს (მეორედ მაშინ, როდესაც ჯორდანელი ნარაინ კარტიკეიანის ბოლიდს ცეცხლი წაეკიდა.-რედ.).

ერთი სიტყვით, მონტოიას შემთხვევა საბედისწერო გამოდგა. კოლუმბიელმა 24-ე წრეზე შეწყვიტა რბოლა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მაკლარენელები კონსტრუქტორთა თასს ვერ დაეპატრონებოდნენ.

მოხდა ის, რაც უკვე გარდაუვალი იყო. "რენო" კონსტრუქტორთა თასს დაეუფლა. მეორე ადგილი იმავე ჩათვლაში, რა თქმა უნდა, "მაკლარენ-მერსედესს" ხვდა წილად. მესამე ადგილზე კი "ფერარი" გავიდა.

პირად პირველობაშიც შესაბამისი საჯინიბოების წარმომადგენლებმა დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები. პირველი, რა თქმა უნდა, ფერნანდო ალონსოა, რომელმაც ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა ჯილდო. მეორე რაიკონენია. მესამე ადგილისთვის, ისევე როგორც კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლა, არ ყოფილა ინტრიგას მოკლებული. ამ ადგილის პრეტენდენტები მონტოია და მიხაელ შუმახერი გახლდნენ. გერმანელი "ჩინეთის დიდ პრიზამდე" ორ ქულას უგებდა კოლუმბიელს (62/60 წინააღმდეგ). ესე იგი, მონტოიას სკუდერიელზე სამი ქულით მეტი უნდა მოეპოვებინა და მესამე ადგილი მას დარჩებოდა. მოვლენები კი ისე განვითარდა, რომ ვერც ერთმა ვერ შეძლო რბოლის დასრულება. მონტოიამ 56 წრიდან 32-ის გავლა შეძლო, შუმახერმა კი კოლუმბიელზე ორი წრით ადრე შეწყვიტა რბოლა. ასე რომ, მათ შორის ქულათა სხვაობა ხელუხლებელი დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე ადგილზე მიხაელ შუმახერი გავიდა.

**"ჩინეთის დიდი პრიზი". 56 წრე**

1. ფერნანდო ალონსო ("რენო")
2. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი")
3. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო")
5. კრისტიან კლიენი ("რედ ბული")
6. ფელიპე მასა ("ზაუბერი")
7. მარკ უებერი ("უილიამსი")
8. ჯენსონ ბატონი (BAR)

მოკლედ

## კრემლის თასი პირსმა წაიღო

მოსკოვში დამთავრდა მე-16 საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში კრემლის თასზე. შეჯიბრება ფრანგმა ჩოგბურთელმა მარი პირსმა მოიგო. გუშინ მოსკოვის სპორტკომპლექს "ოლიმპიისკის" დარბაზში კრემლის თასის გათამაშების მესამე ჩოგანმა ფინალური მატჩი ორ სეტში - 6:4, 6:3 მოუგო იტალიელ ფრანჩესკა სკიავონეს.

შეგახსენებთ, რომ ფინალის გზაზე სკიავონემ ფარ-ხმალი დააყრევინა ტურნირის ფავორიტებს - ამელი მორესმოს, სვეტლანა კუზნეცოვასა და ელენა დემენტიევას. რაც შეეხება მარი პირსს, მან ტურნირი ჯერ კიდევ 1998 წელს მოიგო. მეოთხედფინალში კი ფანტასტიკური გამარჯვება მოიპოვა ელენა ლიხოვცევასთან მატჩში - მოიგო ტაი-ბრეიკი. ზედიზედ ექვსი ტაიმბოლი მოიგერია და ნახევარფინალში დაამარცხა დინარა საფინა.

იტალიელი მეოთხედ გავიდა კრემლის თასის ფინალში, მაგრამ ტურნირის მოგება ვერ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სკიავონეს საერთოდ არ მოუგია არც ერთი ტურნირი, მაშინ როცა მარი პირსმა WTA-ის მე-18 ტურნირი მიითვალა ანგარიშზე. ამ გამარჯვებამ, 190 ათასი დოლარისა და 300 სარეიტინგო ქულის გარდა, პირსს საშუალება მისცა ქალთა წლის მთავარი ტურნირისთვის დაეჯავშნა ადგილი.

## როი კინი ნაკრებიდან წავიდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 34 წლის კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ დაამთავრა ირლანდიის ნაკრებში გამოსვლა. ფეხბურთელმა მას შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რაც ირლანდიის ნაკრებს ხელი მოეცარა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

"ისევე როგორც ქვეყნის ყველა გულშემატკივარი, მეც უაღრესად გულდაწყვეტილი ვარ იმის გამო, რომ ირლანდიის ნაკრებმა ვერ შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის ფრინალურ ეტაპზე გასვლა, - განაცხადა როი კინმა, რომელსაც ტრავმის გამო არ უთამაშია ეროვნული ნაკრების უკანასკნელ შეხვედრებში, - იმის მიუხედავად, რომ ძალიან მინდა ჩემი ქვეყნის ღირსება დავიცვა, ვგრძნობ, რომ დადგა დრო, როცა სანაკრებო კარიერა უნდა დავასრულო და მთლიანად საკლუბო ფეხბურთს მივუძღვნა თავი".

ირლანდიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა, მას შემდეგ, რაც საკუთარ მინდორზე ფრედ ითამაშა შვეიცარიის ნაკრებთან - 0:0. კინმა ადრე განაცხადა, რომ სანაკრებო კარიერას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაამთავრებდა, იმ შემთხვევაში, თუ მისი გუნდი გერმანიის საგზურს მოიპოვებდა.

კინმა, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 66 მატჩი გამართა, არ ითამაშა 2002 წლის მსოფლიო პირველობაზე იმის გამო, რომ მწვრთნელთა შტაბთან უთანხმოება მოუვიდა. თუმცა, ნაკრებში ბრაიან კერის მისვლის შემდეგ, რომელმაც მიკ მაკარტი შეცვალა, ფეხბურთელმა მიიღო ახალი მწვრთნელის წინადადება დაბრუნებოდა ნაკრებს.

## სანსი "პარმას" პრეზიდენტია

მადრიდის "რეალის" ყოფილ პრეზიდენტს ლორენცო სანსს უახლოეს დღეებში იტალიური "პარმას" ახალ მფლობელად დაასახელებენ.

იტალიური კლუბი ახალ მფლობელს მას შემდეგ ეძებდა, რაც მისი მეპატრონე კომპანია "პარმალატი" ბუღალტრული ანგარიშების გამო გაკოტრდა. სანსმა პირველი შესატანი - 7,5 მილიონი ევრო გადაიხადა. საერთო გადასახადი კი 27,5 ევროს შეადგენს. თუმცა, ოფიციალურად ის კლუბის ახალ მეპატრონედ არ გამოცხადდება მანამ, სანამ ამ თანხას ბოლომდე არ დაფარავს. შეთანხმების წარმატებით დასრულების შემთხვევაში ლორენცო სანსი პირველი უცხოელი იქნება, რომელიც იტალიური სერია A-ს კლუბს შეიძენს.

ლორენცო სანსი 1995-2000 წლებში იყო "რეალის" პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის დროს კლუბი 1997 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1998 და 2000 წლებში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იზეიმა.

## ტოპალოვი მსოფლიო ჩემპიონია

არგენტინის ქალაქ სან-ლუისში დამთავრდა ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირის შედეგების მიხედვით პლანეტის დიდ მოჭადრაკეთა რიცხვს კიდევ ერთი მოჭადრაკე დაემატა. ეს არის ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი. სწორედ მისმა ფანტასტიკურმა თამაშმა შეიძლება დაასრულოს ჭადრაკის სამყაროში გაჩაღებული გაუთავებელი დავა მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკის შესახებ, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს.

ამ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ასევე ნოკაუტ-სისტემით, მსოფლიო თასისა (გაიმართება ნოემბერ-დეკემბერში) და ეგრეთ წოდებული "ბოლო შანსის" სუპერტურნირის გათვალისწინებით გამოვლინდება პლეი-ოფის პირველი რაუნდის 10 მონაწილე. მომდევნო სტადიაზე ხუთ გამარჯვებულს დაემატება ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი. ნახევარფინალიდან კი გათამაშებაში ჩაებმება მსოფლიო ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი. ამის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ჭეშმარიტების თაობაზე ინტრიგანულ საუბარს ბოლო მოეღება - იმედოვნებენ ტურნირის ორგანიზატორები.

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

ანკეტა

სახელი, გვარი................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი................................................

საკონტაქტო ტელეფონი................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).



ფორტუნა FM 92.0

# ლაშა, ვანო და ნიკო

**ლაშა ბუღაძე:** დღევანდელი გადაცემის სტუმრები არიან მწერალი ერლომ ახვლედიანი და მთარგმნელი ინგრიდ დეხრავე. მათი მოწვევის მიზეზია ერლომ ახვლედიანის წიგნის, "ვანო და ნიკოს", ახალი, მესამე ქართულენოვანი გამოცემა. ბატონო ერლომ, პირველად როდის გამოიცა ეს წიგნი?

**ერლომ ახვლედიანი:** "ვანო და ნიკო" პირველად ერთ-ერთ ჟურნალში 1962 წელს დაიბეჭდა. მანამდე მისი დაბეჭდვა იგეგმებოდა "მნათობში", მაგრამ ვერ მოხერხდა. ძალიან მეამაყება, რომ ეს ნაწარმოები სიმონ ჩიქოვანს ძალიან მოეწონა, რომელსაც "ვანო და ნიკო" გურამ რჩეულიშვილმა და ედიშერ გიორგაძემ სახლში მიუტანეს. 1964 წელს წიგნი პირველად ითარგმნა ჩეხურად, მოგვიანებით კი ჟურნალში "დრუჟბა ნაროდოვ" რამდენიმე ნაწყვეტი რუსულადაც დაიბეჭდა. 1987 წელს კი ნაწარმოები უკვე წიგნად გამოიცა.


ერლომ ახვლედიანი


ინგრიდ დერხავე

**ლაშა ბუღაძე:** ამ დროისათვის "ვანო და ნიკო" 20 წელზე მეტი ხნის დაწერილი გქონდათ, ნუთუ მანამდე არ ფიქრობდით მის წიგნად გამოცემაზე?

**ერლომ ახვლედიანი:** მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, ვინც მხოლოდ დასაბეჭდად არ წერდა. კარგად მახსოვს, როდესაც გურამმა და ედიშერმა "ვანო და ნიკო" სიმონ ჩიქოვანს წააკითხეს, უთქვამს "ყინული დაიძრა". შემდეგ ნაწარმოებს გაეცნო ნოდარ დუმბაძეც, რომელმაც ოთხი იგავი დამიბეჭდა. ამის გამო მაშინდელმა ცეკას მდივანმა დევი სტურუამ დუმბაძეს საყვედურიც გამოუცხადა. ეს ნაწარმოები მართლა არ დამიწერია დასაბეჭდად - მისი მეშვეობით მხოლოდ საკუთარი სათქმელის გამოხატვა მსურდა.

**ლაშა ბუღაძე:** შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ იწერებოდა "ვანო და ნიკო"?

**ერლომ ახვლედიანი:** პირველი ნოველა რეალურ ამბავზე დავწერე. ვანო და ნიკოც ჩემი მეგობრების სახელებია.

**ლაშა ბუღაძე:** ნაწარმოები ჟანრობრივად ძალიან აღრეულია - აქ არის კომედიაც, ტრაგედიაც, იგავიც. თავიდან რამდენად გქონდათ განსაზღვრული, რას წერდით?

**ერლომ ახვლედიანი:** დღემდე მივიჩნევ, რომ ეს ნაწარმოები ქართულის უცოდინარობამ უფრო დამაწერინა, რადგან თუ ყურადღებას მიაქცევთ, მასში სიტყვათა ძალიან მწირ მარაგს ვიყენებ. თუმცა ამ მარტივი ენის გამო უცხოელებს მოსწონთ.

**ლაშა ბუღაძე:** ინგრიდ, ბატონმა ერლომმა ახსენა, რომ ნაწარმოები ძალიან მარტივი ენითაა დაწერილი. ადრე მითხარი კიდეც, რომ "ვანო და ნიკო" ქართულის შესწავლაში დაგეხმარა.

**ინგრიდ დერხავე:** ნაწარმოები, მართლაც, ძალიან სადადაა დაწერილი და სიტყვათა მარაგი ხშირად მეორდება. თუმცა უცხოელებს მხოლოდ ამის გამო არ მოგვწონს, არამედ იმიტომაც, რომ ღრმა ნაწარმოებია. წიგნი მაშინ წავიკითხე, როდესაც ქართულის შესწავლა დავიწყე. დევი ბერძენიშვილმა მირჩია, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოებით ქართულს ვერ ვისწავლიდი და ჯობდა, რომელიმე ქართული ნაწარმოები წამეკითხა. "ვანო და ნიკო", სწორედ, მისი რჩევით წავიკითხე. მაშინვე მივხვდი, რომ უბრალო ნაწარმოებთან არ მქონდა საქმე და თუ მას გავიგებდი, ქართულ ლიტერატურასაც ავუღებდი ალღოს.

**ლაშა ბუღაძე:** რატომ გადაწყვიტე ამ წიგნის თარგმნა?

**ინგრიდ დეხრავე:** პროფესიით მთარგმნელი ვარ, ამიტომ წაკითხვისთანავე გამიჩნდა მისი ჰოლანდიურად თარგმნის სურვილი. ტექსტზე დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი, რადგან მაშინ ქართული გამართულად არ ვიცოდი. ადვილი არ არის, რომ ჰოლანდიელი და ბელგიელი გამომცემლები უცხოური ლიტერატურის დაბეჭდვაში დაარწმუნო, მაგრამ მათგან მალე მივიღე დასტური, რომ წიგნის დაბეჭდვა სურდათ. წიგნი 2003 წელს გამოვიდა და მთხოვეს, იქნებ იმავე ავტორის სხვა ნაწარმოებიც თარგმნოო. "ვანო და ნიკოს" ჰოლანდიურ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა სპეციალური გამოცემებში საკმაოდ კარგი კრიტიკა ჰქონდა. გარდა ამისა, ამსტერდამის რადიოშიც მიმიპატიჟეს. მოგვიანებით, ერლომ ახვლედიანის რამდენიმე მოთხრობა ვთარგმნე. რამდენიმე წლის წინ დავაარსე საკუთარი გამომცემლობა, რომლის პროფილი ქართული და ნიდერლანდური ლიტერატურის დაბეჭდვაა. უკვე გამოვიდა ნიდერლანდური ლიტერატურის რამდენიმე ქართული თარგმანი, შარშან გამოვეცით უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია ჰოლანდიურ ენაზე.

**ლაშა ბუღაძე:** ამ ახალი გამოცემით ბევრი დაინტერესდება, რადგან ახალ თაობას წაკითხული თითქმის არ აქვს.

**ინგრიდ დეხრავე:** ეს, მართლაც, ასეა, რადგან ძველი გამოცემების შეძენა უკვე შეუძლებელია. წიგნს ახლავს მაია სუმბაძის არაჩვეულებრივი ილუსტრაციები, რომლებიც, ჩემი აზრით, ცალკე ნაწარმოებია. წიგნის ყდა ღია მწვანე ფერისაა, რაც იმაზეც მიანიშნებს, რომ ნაწარმოები ახალგაზრდა აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი.

**ლაშა ბუღაძე:** მე კი მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ახალი გამოცემის შეძენის საშუალება გექნებათ 18 ოქტომბრიდან "ლიტერატურულ კაფეში". კარგი იქნება, თუ წიგნს, რაც შეიძლება, მეტი ახალგაზრდა წაიკითხავს. ბატონო ერლომ, ერთ-ერთი კომპონენტი, რის გამოც ადამიანი წერას იწყებს, ის არის, რომ უყვარს კითხვა. საინტერესოა, რომელი ავტორების კითხვა გიყვართ?

**ერლომ ახვლედიანი:** პირველი წიგნი, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, დანტე ალიგიერის "ღვთაებრივი კომედია" იყო. მაშინ არც ვიცოდი კითხვა და შთაბეჭდილებას ილუსტრაციებით ვიქმნიდი. ძალიან მიყვარდა "მაუგლი", "დავით კოპერფილდი". ბავშვობაში გამუდმებით ვკუთხულობდი ამ ნაწარმოებებს.

**ლაშა ბუღაძე:** თქვენ ბევრი კინოსცენარის ავტორი ხართ. ხომ არ ფიქრობთ, რომ კინომ ლიტერატურას ჩამოგაშორათ?

**ერლომ ახვლედიანი:** როგორც ჩანს, ჩემში ლიტერატურის მუხტი ნაკლებად იყო. კინოში გადასვლა ჩემი მხრიდან შეცდომა იყო, რადგან სცენარის სტილმა სრულიად დამიკარგა ლიტერატურული ალღო. თუმცა არიან სცენარისტები, რომლებიც ამავდროულად კარგი მწერლებიც არიან - მაგალითად, რეზო გაბრიაძე, რეზო ჭეიშვილი.

# თუმანიშვილის თეატრის სცენაზე ალუბლის ბაღი უკვე მეოთხედ იყიდება

## საუბრები პრემიერის წინ

*"ეს პიესა იმდენად იდუმალია, რომ ფეიხტვანგერმა მას "ჯოკონდას ღიმილი" უწოდა. ალბათ, აღარასოდეს დავდგამ "ალუბლის ბაღს", მაგრამ ზოგჯერ გადავხედავ ხოლმე, რაღაც გამახსენდება, ვიფიქრებ დღევანდელობაზე, წარსულზე... როგორია აქ ჩეხოვი, სევდიანი თუ ირონიული, შემოდგომისაა თუ გაზაფხულის?" - ეს გახლავთ ფრაგმენტი მიხეილ თუმანიშვილის ჩანაწერებიდან, სადაც ის არაერთგზის უბრუნდება "ალუბლის ბაღს" და ამ რთული პიესის პატარ-პატარა ეტიუდებს. ამას გარდა, თეატრალებმა კარგად იციან, რომ მაესტრო სცენაზე სამჯერ მიუბრუნდა პიესას, მაგრამ სპექტაკლი სიცოცხლის ბოლომდე განუხორციელებელი დარჩა. არავინ იცის, როგორი გამოვიდოდა თუმანიშვილისეული "ალუბლის ბაღი", "სევდიანი თუ ირონიული, გაზაფხულისა თუ შემოდგომის", მაგრამ სწორედ ამ განუხორციელებლობამ და მისმა დანატოვარმა უამრავმა ეტიუდმა, მონახაზმა და ნაფიქრმა ფურცელსა თუ სცენაზე კიდევ უფრო მეტი იდუმალება შეჰმატა ამ პიესას.*

თეონა ჭაფარიძე

შეიძლება ითქვას, რომ თუმანიშვილის თეატრის დასს გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რათა გათავისუფლებულიყო "გენიოსი მამის კომპლექსისაგან", შიში დაეძლია და პიესისთვის მოეკიდებინა ხელი. დღეს თეატრის სცენაზე რეპეტიციები მიმდინარეობს. პრემიერას თეატრალები 22 ოქტომბრისთვის ელოდებიან.

"როდესაც ბატონი მიშა გარდაიცვალა, მთელი დასის სურვილი იყო, გაგვეგრძელებინა სპექტაკლზე მუშაობა. ალბათ, იმ მომენტში ემოცია მეტი იყო, ვიდრე საქმესთან პრაგმატული მიდგომა, მაგრამ მალე მივხვდით, რომ შეიძლებოდა ყველაფერი გაგვეფუჭებინა, ამიტომ შევწყვიტეთ რეპეტიციები.

დრო გავიდა და დღევანდელმა რეალურმა ცხოვრებამ პიესის დადგმის დღევანდელი ვერსია გვიჩვენა. უკვე დაიბადა სურვილი დავდგათ "ალუბლის ბაღი" სულ სხვა კონცეფციით", - ამბობს **რეჟისორი გოგი მარგველაშვილი.**

პრემიერამდე "პრაგონებით" გადატვირთულ უკანასკნელ კვირაში რეჟისორი და მსახიობები სცენებსა და ხასიათებს ძერწავენ, ხშირად გაისმის თუმანიშვილისეული აუცილებელი ფრაზა: - "**ატმოსფეროს შექმნა**", ოღონდ ახლა უკვე მოწაფეები კონკრეტულად დღევანდელი ატმოსფეროს შექმნას ცდილობენ. დღევანდელ დღესაც ხომ თავისი რანევსკაიები, ლოპახინები, ტროფიმოვები და გაევები ჰყავს. სხათა შორის, როცა ოთხმოცდაცხრაში ბატონმა მიშამ უკვე მეორედ მოკიდა ხელი "ალუბლის ბაღის" დადგმას, **გაევის როლზე** სწორედ **გოგი მარგველაშვილი** დააკავა.


გოგი მარგველაშვილი რეპეტიციაზე.

როლების გადანაწილების ისტორიას თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე ქაბატონი **მანანა ანთაძე** იხსენებს: "სპექტაკლის დადგმის მცდელობა ბატონ მიშას სამჯერ ჰქონდა: 1983, 1989 და სიცოცხლის ბოლოს - 1996 წლებში. ყოველი ახალი დადგმის დროს იცვლებოდნენ მსახიობები და მხატვრები, იცვლებოდა სპექტაკლის კონცეფცია და თარგმანიც კი (თავდაპირველად ტექსტზე მიხეილ ქვლივიძემ იმუშავა, შემდეგ შალვა დადიანის თარგმანის მიხედვით იდგმებოდა პიესა, მესამედ თარგმანზე უკვე მე ვმუშაობდი). სპექტაკლის სცენოგრაფიაზე მუშაობდნენ დიმა ეფროსი და გოგი მესხიშვილი. რანევსკაია თავდაპირველად ლია ელიავას უნდა ეთამაშა, ანიას როლზე კი ნინელი ჭანკვეტაძე იყო აყვანილი. ზაზა მიქაშავიძემაც გადაინაცვლა როლიდან როლზე, გოგი მარგველაშვილს კი, როგორც გითხარით, გაევი უნდა ეთამაშა. ერთადერთი, ვინც დღემდე შეუცვლელი დარჩა როლზე, ეს რუსუდან ბოლქვაძეა. ის დღემდე შარლოტას როლზე მუშაობს," - ამბობს ქალბატონი მანანა.

**რუსუდან ბოლქვაძესთან** ერთად ვტოვებ რეპეტიციას და სასაუბროდ თეატრის ფოიეში გავდივართ. ვფიქრობ, დასის განწყობაზე, მთელი ამ განვლილი წლების ისტორიასა და მოახლოებული პრემიერის მოლოდინზე სწორედ შარლოტა დამელაპარაკება:

"1983 წლის ზაფხული იყო. "პატარა ქალაქის" პრემიერის შემდეგ მთელი დასი სოხუმში გასტროლებზე მივემგზავრეოდით. ჩემოდნებში კი ყველას "ალუბლის ბაღი" გვედო. უკვე იწყებოდა განაწილებულ როლებზე ფიქრი. მე მაშინაც შარლოტას როლი მერგო. რთული როლია: მოცულობით მცირეა, მაგრამ ტევადია და ლაკონიურადაა დაწერილი. რაღაც ამ როლის მსგავსი ურთიერთობა გვქონდა მე და ბატონ მიშას - ლაკონიური და ტევადი. ბევრ თავისუფლებას მაძლევდა. მე მომქონდა ერთიმეორისგან გამომრიცხავი ათასნაირი ვარიანტი, ის კი ამ პერსონაჟისთვის საჭირო ფორმატში აქცევდა ამ ვარიანტებს. ეს ბედნიერება იყო, რადგან შენ თანაავტორად გრძნობდი თავს.

დღეს გოგიც დაახლოებით ამ მეთოდით მუშაობს. გავწვალდი მხოლოდ იმის გამო, რომ მანამდე არ მოიცალა ამ პერსონაჟისთვის, სანამ მთელი სპექტაკლი არ ააგო. გასაგებია, ეს ისეთი როლია, მარილივით ბოლოს უნდა მოაყარო კერძს.

წლების მანძილზე ბევრი ნაფიქრი დამიგროვდა ამ როლზე. ყველგან ვეძებდი ამ ქალს - მხატვრობაში, პოეზიაში თუ ცალკე ფრაზებში. ახლა კი მინდა ეს ყველაფერი გადავყარო და სხვა რაღაც გავაკეთო. ხუმრობა ხომ არ არის - 15 წელი გავიდა. ამ 15 წელიწადში კი ეპოქა შეიცვალა. ბატონ მიშას თავისი ხელწერა ჰქონდა. გოგის თავისი ხელწერა აქვს. სულაც არ არის საჭირო მას დავემსგავსოთ. უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ, ყველანი, ჩვენს როლებს გულში, ალბათ, მას მივუძღვნით. და, საერთოდ, ეს სპექტაკლი მას ეძღვნება. მთავარია, ის პრინციპი შევინარჩუნოთ, რისთვისაც თავის დროზე ეს თეატრი შეიქმნა."

ეს თეატრი კი უკვე 30 წელია, რაც შეიქმნა. ვნახოთ, როგორ გაიყიდება ამ სიუბილეო სეზონზე ალუბლის ბაღი. თეატრის დასს თავის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება უნდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც თამაშობენ ჩეხოვის ამ პიესას, რომელიც სწორედ ცხოვრების წარმავალობისა და მუდმივი განახლების აუცილებლობაზე მოგვითხრობს.

დანარჩენი კი პრემიერის შემდეგ.




ნოდარ ლადარია

საქართველოში კადრები გვიჭირსო, — დაიჩივლა 14 ოქტომბერს **ნინია კაკაბაძემ**. სამაგიეროდ, კადრება არასოდეს გაგვჭირვებიაო, — მიუგებდა ენამახვილობის რომელიმე მოცლილი მოყვარული და, ვინ იცის, იქნებ ვერც კი მიხვდებოდა, რომ მიზანში მოარტყა. რადგან ჟღერადობით მსგავსი ეს ორი სიტყვა ჩვენს სინამდვილეში შინაარსითაც უკავშირდება ერთმანეთს: ვისაც კადრება არ უჭირს, არც კადრების პრობლემა ექნება ოდესმე. კარგად დაუკვირდი, მკითხველო, ეს ტავტოლოგია როდია, ეს ჩვენი ქართული რეალობის ქვაკუთხედია, რომლის დასამტკიცებლად შორს წასვლა არასოდეს მოგვიწევს — აგერ გავისეირნოთ, ბატონო, ქუთაისში. მით უმეტეს, რომ ახლა ცენტრალურსა და თავისი ცენტრალურობით ერთგვარად თავმომწონე "24 საათს" სულ უფრო და უფრო აინტერესებს, რომელი საათია რეგიონის დროით...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფოში ვერცხლისმოყვარეობის მძიმე ცოდვამ იჩინა თავი: გაიყიდა ადამიანის ელენთა. ამის შესახებ ცნობებს, სამწუხაროდ, დედაქალაქში მცხოვრებ ფართო მასებამდე თითქმის ვერ მოუღწევია, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, **კალისტრატე მარგალიტაშვილის** მიერ 2005 წლის 16 სექტემბერს ხელმოწერილი ბრძანებულებით საავადმყოფოს მმართველი, **ბადრი ალფაიძე** თანამდებობიდან მოიხსნა. უფრო ზუსტად, მმართველის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, ხოლო საავადმყოფოს მმართველად კი მაღალყოვლადუსამღვდელოესმა კალისტრატემ საკუთარი თავი დანიშნა, რითაც საბოლოოდ დაასამარა საქართველოში სტალინიზმის ბოლო ბასტიონი: კადრები კი არ წყვეტს, ბატონებო, ყველაფერს, როგორც ეს სისხლისმსმელ ტირანსა და ტოტალიტარიზმის ბურჯს ეგონა, არამედ — კადრება.

მართალია, აქ ენამახვილობის მოცლილი მოყვარული, რომელიც იმავდროულად შინ ნაზარდი თეოლოგიც შეიძლება აღმოჩნდეს (ასეთნი ფრიად მომრავლდნენ ჩვენში), მოიღუშება და გვეტყვის, ეს კადრება კი არა, ღვთის წინაშე კადნიერებააო. შინ ნაზარდ თეოლოგებთან კამათი მეტად უმადური საქმეა, ამიტომაც თუ მთლად არ დავუჯერებთ, სიტყვას მაინც მოვეკიდოთ და ახლა კადნიერების თუ გაბედულების მაგალითებს დავუწყოთ ძებნა ჩვენი პრესის ფურცლებზე.

აჰა, გასულ კვირას **ავთო ჯოხაძემ** გაგვახარა და თავის ვრცელ მასალას მანაც ენამახვილობის ნიმუში წაუმძღვარა სათაურად: *კამპანიონები* (14 ოქტომბერი). ყველამ ვიცით, რომ *კომპანია* იტალიურად საერთო საარსებო წყაროს მქონე ადამიანთა ერთობას ნიშნავს (con — ერთად და pane — პური), რომელთაგან თითოეულს კომპანიონი ჰქვია. ავტორის ენამახვილობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მსგავსად აწარმოა ტერმინი სულ სხვა სიტყვიდან — კამპანია, რაც ბრძოლის ველზე (campus) მოქმედებებს ნიშნავს. და თუ კომპანიონი მეგობარია (ანუ ის, ვისთან ერთად ერთი გობიდან ჭამ), ეს ნეოლოგიზმი, *კამპანიონი*, მტერს უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ ინტელექტუალური სასპენზისთვის გამოყოფილი დრო ამოიწურა და საქმეს მივხედოთ: სტატია ქართული მედიის პრობლემებს ეხება. უფრო სწორად, ამ პრობლემისკენ ყურადღების მიქცევის განზრახვით დაიბეჭდა. მერე და რა? ახლა კი სხვა სასპენზის დრო დადგა — არაინტელექტუალურისა...

რამდენიმე დღის წინათ სოროსის ფონდში მომიწია მისვლა სწორედ იმ დროს, როცა ეროვნულად მოძრავ და მყვირალ ელემენტთა იქ შეკრებილი ორგანიზებული ბრბო თავისი საბრძოლო განწყობის პიკზე იყო. ვიღაცამ მიცნო და რამდენიმე წამში უკვე რიტმული სკანდირება მიმაცილებდა: "ძირს ლადარია! ძირს ლადარია!". იგივე განმეორდა ერთ საათში, როცა შენობიდან გამოვდიოდი. გამოგიტყდებით, არასოდეს გამხარებია ასე. მაშინაც კი, როცა 1999 წელს ვატიკანის კონფერენცდარბაზში მოხსენება დავასრულე და პარტერიდან ტრიბუნისაკენ ჩემთვის ხელის ჩამოსართმევად ლუვრის დირექტორი გამოქანდა ყვირილით "გაუმარჯოს საქართველოს!". ვინც რა უნდა თქვას, მშობლიურ მიწაზე აღიარება მაინც განუზომლად ტკბილია — როგორც ამბობენ, ბევრი წინასწარმეტყველიც კი არ ღირსებია ამას.

ჰოდა, ბატონო ჩემო, თუ რომელიმე "ასავალ-დასავალი" ან "ჯორჯიან ტაიმსი" დაწერს, რომ **გია ნოდია** "იელოველთა წვერებიანი მარქსია", ხოლო **ლევან რამიშვილი** — "თავისუფლების ინსტიტუტის ფანტომასი", ეს მხოლოდ სამოქალაქო სექტორის მზარდ საზოგადოებრივ გავლენაზე უნდა მეტყველებდეს. მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა. მივყვეთ სტატიის შინაგან ლოგიკას და ოდნავ განვავითაროთ კიდეც მასში გამოთქმული აზრები. მივიღებთ შემდეგ სურათს:

დავეთანხმოთ ავტორს, რომ ჯანმრთელ სოციუმში ხელისუფლება და საზოგადოება აუცილებლად უნდა იყვნენ რამდენადმე დაპირისპირებულნი: საზოგადოება კრიტიკულად უნდა იყოს განწყობილი თავისი მმართველი ელიტის მიმართ, ეს უკანასკნელი კი, ერთი მხრივ, საზოგადოების კანონის ფარგლებში არსებობას უნდა უზრუნველყოფდეს, მეორე მხრივ კი მისი გულის მოგებას ცდილობდეს საარჩევნო პერსპექტივის გათვალისწინებით. მაგრამ ზოგჯერ იქმნება ვითარება, როცა ამა თუ იმ სოციუმში წარმოიშობა სოციალური ჯგუფები, რომლებიც მკვეთრად დაპირისპირებულნი არიან ორივე ზემოხსენებული მხარის მიმართ. თუ ამგვარი ჯგუფების საზოგადოებრივი წონა და გავლენიანობა გარკვეულ ზღვარს სცილდება, ამის უპირველესი შედეგი არის სიტუაციის მკვეთრი გაუარესება სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი იტყვის, რომ ავთო ჯოხაძის სტატიაში განხილული გაზეთები სათვალავში ჩასაგდები არაა, რადგან არ გამოხატავს საზოგადოების რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწილის განწყობას. ძნელია ამ პასუხთან კამათი, მით უმეტეს, როცა სანდო სოციოლოგიური გამოკვლევა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ წინასწარვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პასუხში არაა გათვალისწინებული ერთი მეტად არსებითი ასპექტი. საქმე ისაა, რომ ბეჭდვითი პრესა და, საერთოდ, მედია არა მარტო გამოხატავს რომელიმე ჯგუფის ან თუნდაც ცალკეული ადამიანის განწყობებსა და თვალსაზრისებს, არამედ ავსებს და ტვირთავს იმის გონებას, ვისაც ჯერ არც გააჩნია გამოსათქმელად ჩამოყალიბებული იდეა ან თვალსაზრისი. სხვა სიტყვებით, მედია არა მარტო გამოხატავს, არამედ ქმნის კიდეც საზოგადოებრივ აზრს.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ამგვარი თვალსაწიერიდან კი საქართველოში უაზრო და უგემოვნო პრესის ეგზომ გაზრდილ რაოდენობას უწყინარ მოვლენად უკვე ველარ აღიქვამ. დასამტკიცებლად მაგალითი სრულიად სხვა, მაგრამ ქმედითობის თვალსაზრისით არანაკლებ საგრძნობი სფეროდან ავიღოთ.

ყველამ ვიხილეთ მცხეთობისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, **თამაზ გამყრელიძის** ლამის საკრალური წარდგინება სადღესასწაულო ლიტურგიაზე. სახელისუფლებო უმრავლესობის რომელიმე თვალებპრიალა ოპტიმისტი წევრი (ღვთის მადლით, ასეთები ბევრი გვყავს) ამას დიდ ყურადღებას არ მიაქცევდა: მართლაც, მოსალოდნელ მოვლენებზე ნახსენები შემთხვევა უკვე ველარავითარ გავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი პარადოქსი: სწორედ ასეთივე უმნიშვნელო და უპერსპექტივოა იგივე მოვლენა საქართველოს საპატრიარქოს თვალშიც. თანაც ის, თუ რას გრძნობდა ამ დროს თვით ბატონი აკადემიკოსი, რა შეფასებას აძლევდა ფაქტებს, არავის აინტერესებს. "მოსახდენი მოხდება", — ხმამაღლა აცხადებს პირყვითელა ოპტიმისტი. "მოსახდენი მოხდება", — ბოლო თვეების მწარე გამოცდილება ცალსახად კარნახობს ეკლესიის მხცოვან და ნაკლებად მხცოვან იერარქებს.

მაშ, რისთვის გათამაშდა ათასების თვალწინ ეს სანახაობა, ან, როგორც დავით აღმაშენებელი იტყოდა, თეატრო? ჯერ ერთი, ჩვენს პირვანდელ მეტაფორას რომ დავუბრუნდეთ, აქ მთავარი კადრი კი არა (თამაზ გამყრელიძე), არამედ კადრებაა (ეკლესიის სანახაობრივი, საჯარო ჩარევა სახელმწიფო საქმეებში). სწორედ სანახაობრიობაშია ამ მოვლენის მთავარი გასაღები, ხოლო მოქმედების ცენტრი და მთავარი პირობა, როგორც ვთქვით, აქ ბ-ნი აკადემიკოსი კი არაა, არამედ ყველასათვის უცნობი ოპერატორი, რომელმაც ბ-ნ აკადემიკოსს კეფაში დაუმიზნა კამერის ობიექტივი. კამერის მზერა წინასწარ ელამუნება იმ ადგილს, სადაც მალე სახელმწიფო ძალაუფლების მსახვრალი ხელი ჩააკაკუნებს, მაგრამ იგივე სხივი, როგორც პოეტმა თქვა, თეთრ ოლარებსაც აელვარებს, რადგან იქვე დგას, ან, როგორც დღეს იტყვიან, ფიქსირდება ბრჭყვიალა ომოფორებსა და ფილონებში გამოწყობილი სამღვდელოება და ეუბნება ყველა გამოგდებულ გარე მოვაჭრეს, ყველა გაუქმებული მარშრუტის მძღოლს, ყველა ანოსა და ვანოს, რომელსაც, როგორც ირწმუნებიან, საქართველო ეკუთვნის: "დაინახეთ, დაიმახსოვრეთ, ვის გვერდით ვდგავართ ხილულად და მიხვდით, ვის მხარეზე ვართ უხილავად".

ერთი მხრივ, დაჩაგრულების მხარდაჭერა ყოველთვის იყო ეკლესიის ერთ-ერთი დანიშნულება. ტყუილად კი არ უწოდებენ მას შუასაუკუნეების მკვლევრები მედიაციის ანუ შუამდგომლობის ინსტიტუტს (იმედია, შეამჩნიეთ, რომ მედიაცია და მედია ერთი ძირის სიტყვებია). მაგრამ აქ სულ სხვა განაწილებაა: ადრე ეკლესია მთქმელი იყო და მქმნელიც, დღეს, ისტორიის ბუნებრივი მსვლელობის, ან, თუ გნებავთ, საღვთო განგების წყალობით, ამ ორი ფუნქციიდან მხოლოდ პირველი შერჩა. ამიტომაც დღევანდელ საქართველოში სიყვარულის რელიგიის მქადაგებლები თავიანთ საყრდენს წვრილმან სიძულვილში ხედავენ, მათთვის სწორედ ეს სიძულვილი და უკმაყოფილებაა მნიშვნელოვანი და არა რეალური დაჩაგრულობა. უკანასკნელს ვერაფერს მოუხერხებენ, პირველის გამოყენების იმედი კი ყოველთვის არსებობს: რამდენჯერ შეცვლილა ვითარება საქართველოში, ვნახოთ და ახლაც მოვიდეს ხსნა გარედან...

აი, აქ კი უნდა დავუბრუნდეთ ავთო ჯოხაძის სტატიას და შევნიშნოთ, რომ მასში განხილული ბეჭდვითი ორგანოები ზუსტად ასევე ახდენენ თავიანთი სტრატეგიის კონსტრუირებას: მათი ძირითადი საყრდენიც ნეგატიურია — უკმაყოფილება და უვიცობა. აქ, ერთადერთი არსებითი ანუ ეკონომიკური ფაქტორის წყალობით, ეს ვითარება კიდევ უფრო გამჭვირვალეა: რაც უფრო მეტი უკმაყოფილო და უვიცი ადამიანი იქნება საქართველოში, მით მეტი შეიძენს და წაიკითხავს ამგვარ პროდუქციას.

მაგრამ ახლა ეს არაა მნიშვნელოვანი — დავუბრუნდეთ იმას, რაზეც შევჩერდით, ანუ გარედან მოსასვლელ ხსნას. ამის შესახებ ავთო ჯოხაძე წერს: **"მიზანი იოლი გამოსაცნობია, თუ ჩვენი ხალხი დასავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღირებულებებს გაიუცხოებს, მაშინ ჩვენი სახელმწიფოც უნდა გაებუტოს დასავლეთს და მარტო დარჩეს ერთმორწმუნე მეზობლის პირისპირ, რომელიც ნამსახურს დაუფასებს თავის ქართულ კლიენტურას და დედა რუსეთის წიაღში რეგისტრირებული ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული სისტემის სადავეებთან წამოასკუპებს კოფოზე"**. ეჰ, ერთი ამ გაზეთების თანამშრომლებისთვის ჩამატარებინა რუსული ენის ტესტი! მაგრამ ეს ისე, სიტყვაზე ვამბობ. რუსულის ცოდნით არც მღვდლები გამოირჩევიან მაინცდამაინც, თუმცა ეს ხელს არ უშლის მათ ისეთივე მოწიწებით უცქირონ რომელიმე **მატრიონუშკას** ან **ნასტასიუშკას**, როგორითაც ჩვენი მჟღაბნელები შესცქერიან **იგორ გიორგაძეს**. ორივე იდეოლოგიის გეოგრაფიული ცენტრი, როგორც ვხედავთ, ევრაზიის ტრამალებზეა.

მაგრამ ეს მხოლოდ იდეოლოგიური მიმართულებაა. ამის გარდა ავთო ჯოხაძე ყურადღებას აქცევს ტაქტიკურ მეთოდებსაც, რომლებიც მარგინალური პრესისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებს საეჭვოდ ერთნაირი აქვთ.

ჯერ გაზეთებს მივხედოთ. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხერხი, რომელსაც ჩვენი ავტორი მოიხსენიებს, არის ვითარების გამწვავება. აი, მაგალითად, როგორაა "გაშუქებული" "ასავალ-დასავალში" (N 36) პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი თურქეთში: მან თურმე **"არ მოინახულა და არ მოილოცა ბანა, იშხანი, ხახული, პარხალი, ხანძთა"**. ერთიც არ აპატიეს! გაგონილა?! ახლა კი წარმოვიდგინოთ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თურქეთში ყოფნისას საკუთარ დაცვას (მაგათ კიდევ რა უჭირთ!) და უცხო ქვეყნის ოფიციალურ პირებს ყოველგვარი რეგლამენტისა და პროტოკოლის საწინააღმდეგოდ აძრომიალებს ნანგრევიდან ნანგრევზე. სხვა თუ არაფერი, ამგვარი ქმედება არა მარტო პროტოკოლს არ ითვალისწინებს, არამედ დიდი პოლიტიკის პერსპექტივიდანაც უბრალო უზრდელობა და შეფარული აგრესიული ინტენციების სიმპტომია. მაგრამ "ასავალ-დასავალში" დაბეჭდილი შორს არ ვრცელდება, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს...

გაცილებით უფრო მძიმე შედეგი შეიძლება მივიღოთ, როცა გამწვავების იმავე ტაქტიკას ერთი საწყალი გაზეთუკა კი არა, საქართველოს საპატრიარქო მიმართავს. თუ აგრესიული და, უბრალოდ, ანტიკონსტიტუციური გაზეთების იგნორირება ჯერ კიდევ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ზრდილობიანი, კეთილგანწყობილი და ბუნჩულა ენჯეოს (მაგალითად, კავკასიური ინსტიტუტის) მიერ სიტყვის თავისუფლების გამოხატულებად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ალიანსს პოლიტიკური კონფორმიზმის უკიდურესი ფორმაც კი ველარ მიიჩნევს რამდენადმე გონივრულ ან პოლიტიკურად გამართლებულ მოვლენად. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან ეს ალიანსი სულ უფრო მეტად ემსგავსება პოლიტიკური სიბეცის გამოხატულებას, რისი მაგალითიც სულ ახლახან მივიღეთ.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენს თვალებპრიალა უფლებადამცველებს ლოყები აუღაჟღაჟდათ: საპატრიარქომ განაცხადა, რომ თურქ მესხებად წოდებულნი საქართველოში უნდა დაბრუნდნენ! ამით საპატრიარქომ ლამის **ნაირა გელაშვილს** გადააჭარბა რადიკალიზმში.

ნუთუ გველირსა, ნუთუ კვლავ ამეტყველდა ბალაამის ვირი და საქართველოს საპატრიარქომაც გადაუხვია თავის ჩვეულ მიმართულებას? მართლაც სასწაულის ტოლფასია ასეთი რადიკალური ცვლილება. მაგრამ საქმე მაშინვე წარმოგვიდგება თავისი ჭეშმარიტი სახით, როგორც კი იმავე 14 ოქტომბრის გაზეთში გავეცნობით **პაატა ვეშაპიძის** სტატიას სათაურით — *აქ სახელმწიფოს ელოდებიან*. სტატიის ტექსტს თან ახლავს ახალციხის რეგიონში გავრცელებული პროკლამაციის ფოტოასლი. ქვემოთ მომყავს მისი ქართული თარგმანი:

**საზღაურის ჟამი მოვიდა!**

**ახალციხის სომხებო! ჩვენ მოვდივართ! ვინც გზაზე დაგვხვდება, მოკვდება!**

**ათასი წლის განმავლობაში წამლავთ თქვენ ჩვენი მიწის გაერს! გაეთრიეთ ჩვენი მიწიან თქვენს სომხეთში, რუსეთში, ამერიკაში — სადაც გინდათ. ჩვენ აქ თქვენზე მოგონებასაც ვერ ავიტანთ! ნუ ეცდებით უზენაესის ნების წინააღდგომას!**

**მალე ახალციხის მიწა კვლავ ჩვენი გახდება, ვინც ამას ახლავე არ ისმენს, ინანებს, რომ დაიბადა. ურჯულო ძაღლებო, დაგვიტოვეთ თქვენი ქონება და სასწრაფოდ გაიქეცით. გახსოვდეთ თქვენი წინაპრები და 1915 წელი!**

**რუსები ვერ გიშველიან. მათი საათები ჩვენს მიწაზე დათვლილია. მათზე მიყიდულო ტურებო, სომხებო, თქვენც წაეთრიეთ!**

**იცოდეთ, რომ ჩვენი დამცირებისთვის შურისძიების ჟამი მოახლოვდა! იჩქარეთ და არ შეცდებით: წასვლა სიცოცხლეა, დარჩენა — სიკვდილი.**

**ახალციხე თავისუფალია სომეხი და რუსი პირუტყვებისგან**

**ახალციხის გათავისუფლების ბრიგადა**

პროკლამაციას ამშვენებს ნახევარმთვარის გამოსახულება.

თავისებურად დამახინჯებული რუსული ენისა და სიტყვების არჩევის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტექსტის შემდგენელ ფედერალური უსაფრთხოების ან სამხედრო დაზვერვის ოფიცერს ჯერ არ დავიწყნია ოდესღაც წაკითხული "ჰაჯი მურატი".

მაგრამ ეს არაა მთავარი: წარმოვიდგინოთ, რას იფიქრებს ამ ტექსტის წამკითხავი ახალციხეში ან მის მახლობლად მცხოვრები სომეხი. თუ მეტ-ნაკლებად გონიერი კაცია, შეიძლება ყურადღებაც არ მიაქციოს — ძალიან გადაჭარბებულია პროკლამაციის მრისხანე ტონი. და ყველა ჭკუადამჯდარმა ადამიანმა, რომელსაც საკმარიის უცხოვრია ამქვეყნად, იცის, რომ მყეფარე ძაღლი იშვიათად იკბინება. მაგრამ სწორედ ამ დროს ისმის საქართველოს საპატრიარქოს განცხადება: მაჰმადიანი მესხები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ მიწას!

ახლა კი რას იფიქრებს ჩვენი სომეხი მოქალაქე? — ოჰ, ამათ ხუმრობა არ იციან! ამათ იმდენი შეძლეს, ქართულის მცოდნე ერთადერთი სომეხი მღვდელი ერთი ხმის ამოღებისთვის სადღაც დასაკარგავში გადააგზავნინეს ჩვენს ეკლესიას. ახლა კი ჩვენი თავის გარდა ვერავინ დაგვიცავს!

ჩვენ კი რა უნდა ვიფიქროთ? — რა თქმა უნდა, ის, რომ მაჰმადიანი მესხების სამხრეებიანი "მოციქული" და ომოფორიანი "კეთილისმყოფელი" ერთი მეთაურის ბრძანებებს ასრულებენ.

ასე რომ, ვინც გაზეთებში ატეხილ ხმაურზე დარდობს, უმჯობესია საღად აწონ-დაწონოს შექმნილი ვითარება: მიხვდება, რომ საგაზეთო ციებ-ცხელება, ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია. გაცილებით უფრო დიდ ზიანს მოგვიყვანს ქარბორბალა, რომელიც იმ ჭურჭლიდან დაგვატყდება, რომელსაც აქვს კადნიერება, თავისი თავი ჩვენი ერის სულიერი მომავლის ემბაზად გამოაცხადოს. ჩვენ კი, იმის მაგიერ, რომ ქვეყანას შევეწიოთ, დროს ვკარგავთ იმის მტკიცებაზე, რომ არავითარი განსხვავება არაა სახელმწიფოს მეთაურს შორის, რომელიც ზომაზე მეტ იმედებს ამყარებს სხვისი პოლიტიკური ნების მორჩილ საეკლესიო იერარქიაზე და საავადმყოფოს იმ მთავარ ექიმს შორის, რომელიც თავისი პროფესიით სატვირთო მანქანის მძღოლია, როგორც ყოვლადუსამღვდელოესი კალისტრატე. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ვისწავლოთ კადრებისა და კადრების ერთმანეთისგან გარჩევა!

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*

*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*
**OXFORD COLLEGES HOSPITALITY SCHEME**
**1 APRIL 2006 - 31 MARCH 2007**

**ოქსფორდის უნივერსიტეტი ღია საზოგადოების ინსტიტუტთან და ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად იწვევს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს ოქსფორდის კოლეჯების სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის მისაღებად.**

**პროგრამა გთავაზობთ სტაჟირებას ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში ერთი თვის ვადით (ძირითადად ზაფხულის პერიოდში).**

**პროგრამის მონაწილეები როგორც წესი უნდა იყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგები ან კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები 26 წლის ზემოთ, რომელთაც აქვთ საკანდიდატო ან სადოქტორო ხარისხი და სურთ იმუშაონ ოქსფორდის ბიბლიოთეკებში და კონსულტაციები მიიღონ იქაურ სპეციალისტებთან ოქსფორდის უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერ დარგში.**

**დამატებითი ინფორმაცია ოქსფორდის უნივერსიტეტის დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებსაიტზე ( http://www.ox.ac.uk/ ) ან ქ. თბილისის საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრში ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**პროგრამაში მონაწილეობის მსურველები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას.**

**პრიორიტეტები მიენიჭებათ მათ, ვინც მუშაობს ისეთ პროექტზე, როგორიცაა წიგნი ან ახალი სალექციო კურსი. აგრეთვე მათ, ვისაც აქამდე არ ჰქონია უცხოეთში ყოფნის და სწავლის საშუალება.**

**ის აპლიკანტები, რომლებიც ორ თვეზე მეტი ხნის ვადით ნამყოფნი არიან ან გეგმავენ გამგზავრებას უცხოეთში 2004 წლის 1 აპრილიდან ოქსფორდში გამგზავრების სავარაუდო თარიღამდე, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 4 ნოემბერი.**

**საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

*ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"*
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102.**
**საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15**

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს 15:00 საათზე.**

# საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2005 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

"საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარჯვითი ნაწილი 121420,0 ათასი ლარით განისაზღვრა მათ შორის გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია 61026,0 ათასი ლარი, გზების მიმდინარე შეკეთება 11480,0 ათასი ლარი, გზების შენახვა ზამთრის პერიოდში 2540,0 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები 28000,0 ათასი ლარი, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობა 14500,0 ათასი ლარი, 2004 წლის დეკემბრის თვეში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა 1380,0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 650,0 ათასი ლარი, კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები 150,0 ათასი ლარი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატის შენახვის ხარჯები შეადგენს 1694,0 ათას ლარს.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 93652.9 ათასი ლარი, მათ შორის გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების შენახვა ზამთრის პერიოდში, მშენებლობა და სხვა) გაწეულმა ხარჯებმა 92649,6 ათასი ლარი, ხოლო აპარატის შენახვაზე 1003.3 ათასი ლარი, ამავე პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 77968.8 ათასი ლარი, საიდანაც გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების ზამთრის პერიოდში შენახვა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები), საპროექტო-საძიებო-სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოებზე დახარჯულია 50211.1 ათასი ლარი, უცხოური კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯი შეადგენს 97.2 ათას ლარს, სტიქიური მოვლენების შედეგად სალიკვიდაციო და პრევენციული მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 16659.2 ათასი ლარი, ხოლო ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობაზე ამ პერიოდში გაწეულია ხარჯები 11001.3 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს საავტომობილო გზებზე შესრულებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია, რომლის განხორციელებაზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები სხვადასხვა საგზაო-სამშენებლო ორგანიზაციებთან 22060.7 ათასი ლარის მოცულობის სამუშაოებზე.

აღნიშნული სამუშაოების პარალელურად გრძელდებოდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით დაფინანსებულ ობიექტებზე.

მსოფლიო ბანკის N3357GE კრედიტის ფარგლებში 2005 წლის 9 თვეში შესრულებულია 3707.9 ათ. ლარის სამუშაოები, საიდანაც აღსანიშნავია საავტომობილო ხიდი მდ. სონდისხევზე, საერთო სიგრძით 60მ, რომელიც საექსპლუატაციოდ გადაეცა მიმდინარე წლის ივნისის თვეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტით გათვალისწინებული ყველა სამუშაოები ამ პერიოდისათვის პრაქტიკულად მთლიანად დამთავრებულია.

ასევე მთლიანად დასრულდა დამუშაოები კუვეიტის ფონდის N589KF კრედიტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 3933.9 ათ. ლარი. მთლიანად დამთავრდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის 3 კმ-იან და სენაკი-ფოთი-სარფის ურეკი-ჩოლოქის 7კმ-იან მონაკვეთებზე. ასევე მოეწყო შემასწორებელი ფენა ასფალტობეტონით სენაკი-ფოთი-სარფის გზის ფოთი-ურეკის 2 კმ-იან მონაკვეთზე.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | დამტკიცებული 2005წ. ბიუჯეტით სულ | მათ შორის იანვარ-სექტემბერი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დამტკიცებული ლიმიტი | შესრულებული სამუშაოების მოცულობა | საკასო ხარჯი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 23 20 | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 121420.0 | 91628.4 | 93652.9 | 77968.8 |
| 23 20 01 | საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი | 1694.0 | 1135.5 | 1003.3 | 983.6 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 920.0 | 606.7 | 565.8 | 565.1 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 184.0 | 121.3 | 119.5 | 113.1 |
| | მივლინებები | 50.0 | 39.3 | 38.6 | 37.4 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 500.0 | 332.4 | 247.8 | 236.4 |
| | კაპიტალური ხარჯები | 40.0 | 35.8 | 31.6 | 31.6 |
| 23 20 02 01 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები | 119726.0 | 90492.9 | 92649.6 | 76985.2 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 44200.0 | 31652.9 | 37337.6 | 28793.3 |
| | კაპიტალური ხარჯები | 75526.0 | 58840.0 | 55312.0 | 48191.9 |
| | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 61026.0 | 11219.8 | 42236.7 | 37190.6 |
| | კაპიტალური ხარჯები | 61026.0 | 46840.0 | 42236.7 | 37190.6 |
| | გზების მიმდინარე შეკეთება | 11480.0 | 8979.8 | 11346.8 | 8665.5 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 11480.0 | 8979.8 | 11346.8 | 8665.5 |
| | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2540.0 | 2240.0 | 2839.6 | 2209.3 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 2540.0 | 2240.0 | 2839.6 | 2209.3 |
| | სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობა | 14500.0 | 12000.0 | 13075.3 | 11001.3 |
| | კაპიტალური ხარჯები | 14500.0 | 12000.0 | 13075.3 | 11001.3 |
| | სხვა ხარჯები | 650.0 | 449.4 | 289.4 | 239.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 650.0 | 449.4 | 289.4 | 239.0 |
| | 2004 წლის შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 1380.0 | 1380.0 | 0.0 | 923.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 1380.0 | 1380.0 | 0.0 | 923.1 |
| | სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | 28000.0 | 18500.0 | 22766.1 | 16659.2 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 28000.0 | 18500.0 | 22766.1 | 16659.2 |
| | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 150.0 | 103.7 | 95.7 | 97.2 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 150.0 | 103.7 | 95.7 | 97.2 |

მსოფლიო ბანკის N3357GE კრედიტით გათვალისწინებული სამუშაოების პარალელურად უკვე ძალაში შევიდა და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მსოფლიო ბანკის ახალი კრედიტის ასათვისებლად, რომელიც 2005-2008 წლებში შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი*

# ნობელი ჰაროლდ პინტერს



2005 წლის ნობელის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი ბრიტანელი დრამატურგი ჰაროლდ პინტერი გახდა. ნობელის აკადემიის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ პინტერი თავისი ტექსტებით "ფარდას ხდის ყოველდღიური ამაოების ქვეშ ჩამალულ მანკიერს". თვითონ პინტერმა კი ჟურნალისტებს განუცხადა: "50 წელია, პიესებს ვწერ და დღემდე პოლიტიკურად აქტიურ ადამიანად ვრჩები. თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რა დოზით განსაზღვრა ამ ფაქტმა ჩემი დაჯილდოება. ისე კი ცხადია, რომ მე ხელოვნებაც უსაზღვროდ მაინტერესებს და პოლიტიკაც, ზოგჯერ ეს ორი ერთმანეთს მოხერხებულად კვეთს, ზოგჯერ - არა. თვითონ პროცესი კი ძალიან საინტერესოა".

75 წლის დრამატურგი, რომლის პიესებს შორისაც გახლავთ "დაბადების დღე" და "ღალატი", პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის გარდა 1.3 მილიონ დოლარსაც მიიღებს. ის ნაიპოლის შემდეგ პირველი ბრიტანელი ავტორია, რომელიც ნობელით დაჯილდოვდა.

ბრიტანელი თეატრის რეჟისორი სერ პიტერ ჰოლი, რომელსაც პინტერთან 40 წელიწადზე მეტ ხანს უმუშავია, მისი დაჯილდოების ფაქტს ასე აფასებს: "შესანიშნავი ჯილდო შესანიშნავ, თეატრის ყველაზე არაორდინალურ პოეტს გადაეცა. ამ ამბავმა ძალიან გამახარა".

ბრიტანელი დრამატურგი თავისი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებებითაა ცნობილი. ის აქტიურად და ღიად აკრიტიკებს ხოლმე ბრიტანეთის და ამერიკის საგარეო პოლიტიკას და მწვავე საერთაშორისო კონფლიქტების დროსაც საკუთარ აზრს ხმამაღლა აფიქსირებს. ასე იყო 2001 წელს ავღანეთში მომხდარი მოვლენების დროსაც და ასე იყო ერაყის ომის დროსაც.

დაჯილდოების შესახებ განცხადება შვედეთის აკადემიის მუდმივმა მდივანმა ჰორას ენგდალმა სტოკჰოლმიდან გაავრცელა. "პინტერმა თეატრს თავისი ფუნდამენტური ელემენტები დაუბრუნა: დახურული სივრცე და წინასწარ განუსაზღვრელი დიალოგი... მისი პიესების სტილის გამო, რომელიც დროდადრო დამაფრთხობელი სიჩუმეებით ივსება ხოლმე, ასეთი განსაზღვრებაც მოიგონეს - "პინტერული".

30-ზე მეტი პიესის გარდა, პინტერი წერს პროზასაც. მას კინო და სატელევიზიო სცენარებიც ეკუთვნის. მათ შორის არის სცენარი 1981 წელს გადაღებული ფილმისთვის "ფრანგი ლეიტენანტის ცოლი", რომელიც, თავის მხრივ, ჯონ ფაულზის რომანის მიხედვით დაიწერა.

ჰაროლდ პინტერი ლონდონელი ებრაელი მკერავის ოჯახში დაიბადა და ახალგაზრდობიდანვე ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძოდა. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკამდე ის მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის შეხედულებებს აკრიტიკებდა. 2002 წელს პინტერს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ავადმყოფობის მიუხედავად, მწერალმა მაინც აიმაღლა ხმა ერაყული ომის წინააღმდეგ. მან იმ წერილსაც მოაწერა ხელი, რომელიც ხელოვანებმა (პინტერთან ერთად იყვნენ კენ ლოუჩი და ჯგუფი "ბლარიც") დაუნინგ სტრიტზე, პრემიერ-მინისტრს გაუგზავნეს.

ჰაროლდ პინტერის უახლესი პიესაა "წარსული დროების გახსენება", რომელიც 2000 წელს გამოიცა და ლონდონის ნაციონალურ თეატრში დაიდგა კიდეც.

2005 წლიდან კი სამუელ ბეკეტის, ჯონ სტეინბეკის, სერ უინსტონ ჩერჩილის და თომას სტერნზ ელიოტის "ნობელიანტთა" რიგებს ჰაროლდ პინტერიც შეუერთდა. კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი: 1964 წელს ნობელი ლიტერატურის დარგში კიდევ ერთმა დრამატურგმა - ფრანგმა ჟან-პოლ სარტრმაც მიიღო, მაგრამ პრიზზე უარი განაცხადა.

# 21-ე ჯეიმს ბონდი

ამიერიდან ჯეიმს ბონდის საპატიო მისია დენიელ კრეიგს დაეკისრება. განგსტერული ფილმების ინგლისელი ვარსკვლავი პრესკონფერენციაზეც ზუსტად ისე გამოცხადდა, როგორც ნამდვილ ბონდს შეეფერებოდა - კატერით.

"ჩემთვის ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. ცხოვრება ასეთი გამოცდებითაა სავსე, მაგრამ მსახიობისთვის, ჩემთვის ჯეიმს ბონდის როლის თამაში ყველაზე დიდი გამოცდაა".

დენიელ კრეიგი მეექვსე ჯეიმს ბონდია. გადაღებები იანვრიდან უნდა დაიწყოს. "სცენარი არაჩვეულებრივია. გამოცდის ჩაბარება სწორედ სცენარის წაკითხვით დავიწყე. როგორც კი კითხვა დავამთავრე, მივხვდი, რომ უკან დასახევი გზა არ მქონდა, ამოცანა უნდა შემესრულებინა", - განუცხადა ახალმა ბონდმა ჟურნალისტებს.

რეჟისორი მარტინ ქემფბელი დასძენს, რომ ბონდიანას 21-ე ფილმი წინაზე უფრო მუქ ტონებში იქნება გადაწყვეტილი, მეტი აქცენტი გაკეთდება პერსონაჟების გამოკვეთაზე, ვიდრე სპეცეფექტებზე.

ახალი ჯეიმს ბონდი იმასაც აღნიშნავს, რომ მას ძველი კოლეგა - პირს ბროსნანი ხშირად ამხნევებდა. ბროსნანი კრეიგს არწმუნებდა, რომ ჯეიმს ბონდის როლს ისე უნდა მოეკიდოს, როგორც "ჩვეულებრივ სამუშაოს".

ახალი პროდიუსერები დენიელ კრეიგის პარტნიორი ქალის ძებნაში არიან. მათ სურთ ახალ ბონდს საუკეთესო საყვარელი ქალი აურჩიონ.

"კაზინო როიალი" იან ფლემინგის ბონდიანას პირველი ნაწილის ადაპტირებით გაკეთდება. პარალელურად დაიწყო მუშაობა 22-ე ჯეიმს ბონდის ფილმზეც. ეს კრეიგისთვის უკვე მეორე როლი იქნება.

მისი წინა ფილმოგრაფია კი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. პირველი მნიშვნელოვანი როლი მან შეასრულა 1996 წელს "ბი ბი სი"-სთვის გადაღებულ დრამაში "ჩვენი მეგობრები ჩრდილოეთში". შემდეგ ის ჰოლივუდშიც ცნობილი სახე გახდა და 2002 წელს ტომ ჰენქსსაც გაუწია პარტნიორობა სურათში Road to Perdition. უფრო მოგვიანებით კი გვინეტ პელტროუსთან ერთად ტედ ჰიუზისა და სილვია პლატის რომანის ეკრანიზაციაში მიიღო მონაწილეობა. ჯეიმს ბონდის ფილმის გამოსვლამდე მაყურებელი დენიელ კრეიგს ნახავს სტივენ სპილბერგის ფილმში "მიუნხენი". სურათი სპილბერგმა 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ გადაიღო.




## ვულოცავთ!

ბატონ **რომან დალაქიშვილს** ღირსების ორდენს, ასევე ღირსების მედლებს

**ომარ სოლომონიძეს**
**ბეგლარ აბუსერიძეს**
**ირაკლი შანავას**
**ნოდარ ხიდეშელს**
**ლერი რუსიძეს**
**არჩილ ჯვარშეიშვილს**
**ზურაბ კიკნაძეს**
**დემურ ხვადაგიანს**
**დავით ტალიაშვილს**

და ვუსურვებთ დღეგრძელ და წარმატებულ ცხოვრებას.

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,*
*საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი*

**მეუღლე მაყვალა, შვილები ლადო, ხათუნა, სიძე ზაზა, რძალი თათია, შვილიშვილები და მეგობრები იუწყებიან რომ გარდაიცვალა**
**ზურაბ ვლადიმერის ძე კვიტაიშვილი**
**პანაშვიდი 16 და 17 ოქტომბერს, 16.00 სთ.**
**დაკრძალვა 18 ოქტომბერს, 14.00 სთ.**
**გამოსვენება საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.**



მერი პოპინსი
1997 წლიდან

- ძიძები
- აღმზრდელები
- დამლაგებლები
- მზარეულები
- მოხუცებისა და ავადმყოფების მომვლელები

ვებ გვერდი: www.marypoppins.ge
ტელ: 44 34 60, 877 44 34 50

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მიღებას მოსამზადებლად:სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**

**მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზ.32. ტელ.22 -34-26**



## ყურადღება!

რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
**ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის" მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!



## ფირმა "ჩაღლარის"
### ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები
### "ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში



**პატივცემულო მშობლებო!**

ეროვნული გამოცდებისათვის ბავშვის მომზადება თქვენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს, რადგან გაიხსნა ფირმა "ჩაღლარის" უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსამზადებელი კურსები "ცოდნა". კვირის თქვენთვის სასურველ დღეებში გამოცდილი და კვალიფიციური კადრები მოამზადებენ თქვენს შვილებს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული საგნების პროგრამით.

ტექნიკური განხრით ისწავლება: ქართული, მათემატიკა, ლოგიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ინგლისური.

ჰუმანიტარული განხრით კი: ქართული, მათემატიკა, ლოგიკა, ისტორია, გეოგრაფია და ინგლისური.

**გახსოვდეთ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ყოველი ახალგაზრის ოცნებაა!**

რეგისტრაცია მიმდინარეობს **2005 წლის 1-დან 28 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართებზე:**

**თბილისი, გრიშაშვილის ქ. 51 (ორთაჭალა) ტელ: 75 24 58, 75 44 94**

**დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი**
**ბათუმი, ხიმშიაშვილის 55 ტელ: +995 32 888 222 764 09**
**რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმი**

